ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

22 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა"
+
ეს სამყარო
ზვიგენები
10 ლარი




ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 2013 №251 (6252) ფასი: 30 თეთრი

# შსს-ს მაღალჩინოსნები ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დააკავეს

ვისი ბრძანებით გაუხსნეს ცეცხლი არჩევნებზე მიმავალ მოქალაქეებს გვ.3



გვ.5

## სანდრო ბრეგაძე: „ბაქრაძის გაპრეზიდენტება პოლიტიკური კატასტროფაა!"

ივანიშვილის გარემოცვა სავსეა სოდის, კუდისა და ათასი ასეთი საზიზღარი ორგანოების მიერ გადაბირებული აგენტებით

## დავით ზურაბიშვილი: „უპრაგონო დაპატიმრებების მომხრე არა ვარ"

გვ.4



## ახალი შრომის კოდექსი ქალების სასარგებლოდ!

გვ.2



## საკრებულო თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვას ითხოვს

გვ.6





## კობა დავითაშვილი: „თუ 3%-იან ზღვარს ვერ გადავლახავ, პოლიტიკიდან წავალ"

„ხალხის პარტიის" ლიდერისა და პრეზიდენტობის კანდიდატის კობა დავითაშვილის განცხადებით, თუ ის არჩევნებზე 3%-იან ზღვარს ვერ გადალახავს, პოლიტიკაში დარჩენის მიზეზსაც ვერ დაინახავს.

მისივე თქმით, ქვეყანაში 200–ზე მეტი რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიის არსებობას აზრი არა აქვს, თუ მათ ხალხის ნდობა და ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენა არ ექნებათ.

„თუ 3% ვერ მოვაგროვე, მე პოლიტიკაში განა არ დავრჩები, ვერ დავრჩები და მგონია, რომ ის პარტიები, რომლებიც 3%-იან ზღვარს ვერ ლახავენ და პოლიტიკაში მაინც რჩებიან, კარგ საქმეს ნამდვილად არ აკეთებენ. როდესაც ხალხს არ უნდიხარ შენ, როგორც პოლიტიკოსი, უნდა წახვიდე და სხვა საქმეს მიხედო, საქმეებს რა დალევს". — განაცხადა დავითაშვილმა.

ნიუსპრესი

## გიორგი ლალიძე: „ვადამდელ არჩევნებს ნუ ელოდებით"



გვ.8

გვ.5



## შსს-ს ორთაბრძოლების კლუბის წევრები რუსეთში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

ISSN 1987-9385

**5** ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციის მაიორი ლია პარკაული დააჯილდოვა

**2** კახა კოჟორიძე: „მოსამართლეები მაღალჩინოსნების საქმეებში ლოიალურები არიან"

**6** ვინ შეუმსუბუქებს კომუნალურ დავალიანებებს თბილისელებს?

**11** მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზანდუკელის ქუჩაზე გადადის

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ახალი შრომის კოდექსი ქალების სასარგებლოდ!

ნათია ხურცილავა

**იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ შრომის კოდექსის ცვლილებათა პროექტის პრეზენტაცია გამართა, რომელიც შრომით ურთიერთობაში ქალთა უფლებებს ეხება. როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პროექტის პრეზენტაციამდე ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ცვლილებების გატარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოა.**

„შრომის კოდექსის" ცვლილებათა პროექტის ახალი ვარიანტი, შრომის კანონმდებლობის რეფორმის მეორე ეტაპი ქალთა შრომით უფლებებს ახლებურად არეგულირებს. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან ქალთა უფლებების კუთხით კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— ჩვენ გვაქვს შემოთავაზებული საქართველოსთვის ერთი ძალიან ახალი რამ. ეს გახლავთ ის, რომ მშობიარობის შემდგომ თავად აირჩიონ, რომელი გამოიყენებს დეკრეტულ შვებულებას იმის მიხედვით, რომლის სახლში დარჩენის შემთხვევაში ნაკლები ფინანსური ზიანი მიადგება ოჯახს, — აღნიშნა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ეს შემოთავაზებები მხოლოდ პროექტია და, სანამ პარლამენტს წარედგინება, კონსულტაციები გაიმართება როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ისე დასაქმებულთა გაერთიანებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან.

ქალთა შრომითი უფლებების კუთხით კოდექსში შემავალი ცვლილებები რეფორმის მეორე ეტაპია. კანონპროექტი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თანაბარი პირობების ფარგლებში თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ცვლაში მუშაობისას განსაზღვრული სამუშაო დროის დარეგულირება, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას თანხმობის სავალდებულოობა, ღამით მუშაობის შეზღუდვა, ქალთა განსაკუთრებული კატეგორიისთვის, დამატებითი შესვენება მეძუძური ქალებისთვის, შვებულება ორსულობის მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო და სხვ.

„შრომის კოდექსის" რეფორმის პირველი ტალღა 4 ივლისს დასრულდა, როდესაც იუსტიციის სამინისტროს ინიცირებული ცვლილებები ძალაში შევიდა.

— როდესაც რომელიმე დაწესებულებაში ქალის დასაქმების თემა განიხილება, შეკითხვები არ უნდა ეხებოდეს მის შესაძლო ორსულობას, დაქორწინების პერსპექტივას და ასე შემდეგ. ქალებსა და კაცებს თანაბარი შრომის პირობებში თანაბარი ანაზღაურება და სოციალური გარანტიები უნდა ჰქონდეთ, რომ ღამე ზეგანაკვეთური შრომა და მივლინება ქალთა განსაზღვრული კატეგორიისთვის მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში იყოს. განსაზღვრული კატეგორიაა ორსული, მეძუძური, ნამშობიარები და ის ქალები,



რომელთაც 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ჰყავთ ან ახალშობილი, ვიდრე ის რამდენიმე თვეს არ მიაღწევს, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, შრომის კოდექსის ცვლილებების პროექტის თანახმად, მშობიარობის შემდეგ მშობლებს თავად ექნება საშუალება, აირჩიონ, თუ რომელი მათგანი გამოიყენებს დეკრეტულ შვებულებას.

— გვინდა, დეკრეტული შვებულების პირობები იყოს ისეთი, რომ როცა ქალი სამსახურში ბრუნდება, ვიდრე ბავშვი ერთი წელს არ მიაღწევს, ხელშეკრულების გაწყვეტა აკრძალული იყოს, — განაცხადა წულუკიანმა.

პრეზენტაციას სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატის, საქართველოს პროფესიული კავშირები, ბიზნესსექტორისა და დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ გამოქვეყნებულ კვლევაზე, რომელიც სასამართლო პროცესების მონიტორინგს ეხება.

— ზოგიერთი მოსამართლე ვერ გაერკვა, რაში უნდა გამოიყენოს დამოუკიდებლობა, — ამბობს წულუკიანი.

ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ გახმაურებულ პროცესებზე ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ მოსამართლეები ლოიალობით გამოირჩევა.

— ვერც ერთ პროცესს, რომელიც დასრულებული არ არის, ვერ შევაფასებ, თუმცა ფაქტია, რომ წინა წლის არჩევნების შემდეგ ზოგიერთი მოსამართლე მათი ხელმძღვანელების მეთაურობით, ვერ გაერკვნენ, რაში უნდა გამოიყენონ დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა მათ უნდა გამოიყენონ საქმისადმი ერთგულებაში და ობიექტურად გადაწყვიტონ ყველას საქმე, ამიტომ, რა თქმა უნდა, ნებისმიერი მიკერძოების ტენდენცია დასაგმობია ყველას მხრიდან, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრს ჟურნალისტებმა ასევე ჰკითხეს ფრანგმა მსახიობმა დაარღვია თუ არა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, როდესაც ჟერარ დეპარდიემ, როდესაც მან საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა.

ამ კითხვაზე წულუკიანი ასე პასუხობს: დეპარდიე ის ადამიანი არ არის, რომელთან მიმართებით საქართველომ შეიძლება ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღოს.

— ამ მდგომარეობას შესწავლა სჭირდება. ჟერარ დეპარდიე ის ადამიანი არ არის, რომელთან მიმართებაში შეიძლება საქართველოში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მიიღონ, ამიტომ ფაქტებს შევისწავლით და შემდეგ, რა თქმა უნდა, ხელისუფლება შესაბამის რეაგირებას გააკეთებს. კანონი, რა თქმა უნდა, ყველასთვის ერთია, — განაცხადა წულუკიანმა.

გავრცელებული ინფორმაციით, დეპარდიე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმყოფებოდა, ის ასევე ესტუმრა ერთ-ერთ ქართულ რესტორანს, სადაც ქართული კერძები დააგემოვნა, მოგვიანებით კი აზერბაიჯანში გაემგზავრა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გააკეთა მინისტრმა, იპოთეკარებს ეხებოდა. იპოთეკის სესხებზე მომუშავე ჯგუფმა საკანონმდებლო რეგულაციები მოამზადა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც მომავალში დასადებ სასესხო ხელშეკრულებისთვის უკეთეს რეგულაციებს შექმნის, უახლოეს კვირაში მთავრობას პარლამენტში გადასაგზავნად წარედგინება.

— იპოთეკურ სესხებზე მომუშავე ჯგუფს რაიმე ტიპის სესხების გაცემაზე მუშაობა არ ევალებოდა, მას ევალებოდა მომავალში დასადები სასესხო ხელშეკრულებებისთვის უკეთესი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა. ეს პროცესი დასრულებულია. ხაზს ვუსვამ, ჩვენ ჯგუფს არ ევალებოდა რაიმე ტიპის მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების გაცემა. იუსტიციის სამინისტრო და მთავრობა ის დაწესებულება არ არის, რომელიც ვინმეს რომელიმე სესხს აუნაზღაურებს ან გადაუვადებს. ამის შესახებ ზოგიერთმა მედიამ თავის დროზე არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა და ცრუ იმედები შეუქმნა. სესხის გადავადება, გაუქმება მხოლოდ საბანკო სექტორს შეუძლია, — განაცხადა წულუკიანმა.

# რატომ გაჭიანურდა ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია, რომლის მიზანიც, როგორც იდეის ავტორი აცხადებს, ახალი დეტალების გამოვლენა იქნება.

უჩა ნანუაშვილის თქმით, ერთი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა გამოძიების მხრიდან ინფორმაციის მოწოდება, ამიტომ აუცილებელია, ალტერნატიული საზოგადოებრივი კომისია შეიქმნას.

— გამოძიება გაჭიანურებულია. საზოგადოებას არანაირი ინფორმაცია არ აქვს, რა ეტაპზეა გამოძიება. კომისიის მიზანი იქნება, ახალი დეტალები გამოავლინოს ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.



აღნიშნული იდეის კომენტირება იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე ბარამიძეს ვთხოვეთ, რომელმაც გვითხრა, რომ ის საქმის კურსში არ არის და მსგავსი იდეის შესახებ არ გაუგია და, შესაბამისად, კომენტარს ვერ გააკეთებს.

წინასწარი ინფორმაციით, კომისიის შემადგენლობაში ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ექსპერტთა ის ჯგუფი შევა, რომლებსაც ლაფანყურის საქმეზე გარკვეული მასალები აქვთ. თუმცა, აღნიშნულ კომისიას უკვე ჰყავს მოწინააღმდეგეები.

უკვე ცნობილია, რომ ლაფანყურის საქმეზე მომუშავე საზოგადოებრივი კომისიის მუშაობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა" და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები არ ჩაერთვებიან.

როგორც კახა კოჟორიძემ, საია-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კომისიას არანაირი ძალა არ ექნება და მის მიერ დადებული დასკვნა ვერ იქნება ეფექტური. თუმცა, იქვე ამატებს, რომ მისი პოზიცია არ ნიშნავს, რომ ის წინააღმდეგია მსგავსი საზოგადოებრივი კომისიის შექმნის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ვაცადოთ, ეს გამოძიება რაღაც ეტაპამდე მიიყვანოს. მესმის, რომ ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, თუმცა ეს არის სენსიტიური თემა. კომისიამ შეიძლება გარკვეული ინფორმაციები მიაწოდოს გამოძიებას. შეიძლება გამოძიება სთხოვოს, რომ უფრო ეფექტურად წარიმართოს, მაგრამ ის, რომ კომისიამ გამოძიების ფუნქცია შეასრულოს, ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილი არ არის, — განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა.

კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ საია დაზარალებულებს უწევს ადვოკატირებას.

— რამდენიმე თვის განმავლობაში, როგორც ჩვენ ვიცით, ბევრი არაფერი გაკეთებულა ამ საქმეზე. ჩვენ ვართ დაზარალებულების ოჯახების ადვოკატები და იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ გამოძიება უმოქმედოა, ჩვენ ამ საქმის ადამიანთა ევროპულ სასამართლოში წაღებას ვაპირებთ. ამ კომისიას კანონმდებლობა არ აძლევს სათანადო ბერკეტებს, რომ გამოძიება წარმართოს, — განაცხადა საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ.

ამ დროისთვის უკვე ცნობილია კომისიის რამდენიმე წევრის ვინაობა. კომისიის მუშაობაში მამუკა არეშიძე, ვახტანგ მაისაია და სოსო ცისკარიშვილი, ლია მუხაშავრია ჩაერთვებიან. კომისიის შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იქნებიან. კომისია პირველ სხდომას დღეს გამართავს.

ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორ ეკა გიგაურის განცხადებით, ლაფანყურის სპეცოპერაციაზე გამოძიება სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ.

— ძალიან მნიშვნელოვანია, გაირკვეს, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხი დაკავშირებულია სახელმწიფო უსაფრთხოებასთან, გამოძიების შედეგად კი შეიძლება შეგროვდეს ისეთი ინფორმაცია, რომლის საჯაროდ გამოქვეყნებაც არ იყოს მიზანშეწონილი — როცა ასეთ სენსიტიურ თემასთან გვაქვს საქმე და ის ეროვნულ ინტერესებს უკავშირდება, ვფიქრობ, მას სათუთად უნდა მოვექცეთ, — ამბობს ეკა გიგაური.

უფლებადამცველი ლია მუხაშავრია კომისიის შექმნას მიესალმება და აცხადებს, რომ ლოპოტას ხეობის სპეცოპერაციის შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე საგამოძიებო ორგანოები იძულებული გახდებიან, აღნიშნული საქმე გამოიძიონ.

# კახა კოჟორიძე: „მოსამართლეები მაღალჩინოსნების საქმეებში ლოიალურები არიან"

ნათია ხურცილავა

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გუშინ სისხლის სამართლის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში პროცესების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა.**

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლო თანამდებობის პირთა მიმართ მეტ ლოიალობას იჩენდა.

თბილისსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირველი წარდგენის სხდომებზე (აღკვეთის ღონისძიებები), მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, 50%-დან 41%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთათვისაც პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

მონიტორინგი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ჩაატარა და ის მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის პერიოდს მოიცავს. მონაცემები 2012 წლის ივლის-დეკემბერთანაა შედარებული.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში 37%-დან 30%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს. 63%-დან 69%-მდე კი გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, მონიტორინგის განხორციელების ისტორიაში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შსს-ს მაღალჩინოსნები ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დააკავეს

## ვისი ბრძანებით გაუხსნეს ცეცხლი არჩევნებზე მიმავალ მოქალაქეებს

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენს საზოგადოებას ალბათ კარგად ახსოვს 2008 წლის 21 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მომხდარი ინციდენტი. იმ დღეს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხალხი გალის რაიონის სოფლებიდანაც გადმოვიდა.

ცოტა ხანში კი სრულიად საქართველო სკანდალურმა ინფორმაციამ შეაზანზარა. გვაუწყეს, გალიდან გადმოსულ მოსახლეობას აფხაზებმა და რუსებმა ცეცხლი გაუხსნეს. დაიჭრა ერთი ქალბატონიც.

ამ თემაზე ნაციონალებმა ხმაურიანი განცხადებები გააკეთეს. მაშინდელი ოპოზიციის მტკიცებით კი ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო. ამის შესახებ საუბრობდა ჟურნალისტი ნანა ფაჟავაც.

სხვა დროს ამ თემაზე დიდი წიოკი გაგრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ავადსახსენებელი 5-დღიანი ომი დაიწყო და ამ ამბისთვის ვილას ეცალა. ქვეყანაში ომის შემდეგაც მღელვარე ცხოვრება იყო, ხურჩის ინციდენტმა კი მეორე პლანზე გადაიწია. ის ძალიან ბევრს მიავიწყდა კიდევაც, მაგრამ თურმე მშობლიურ შსს-ს არ დავიწყნია.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ გუშინ გვაუწყა, რომ 2008 წლის 21 მაისს ტერაქტის მოწყობის ბრალდებით შსს-ს მაღალჩინოსნები დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით, შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა დააკავეს. მასთან ერთად დაკავებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, შსს სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება, ასევე, ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

კერძოდ, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, სოფელ ხურჩაში მობილიზებული იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას.

დასახელებულ დროს, სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე, მალხაზ მურღულიამ ,,ერ პე გე“-ს ტიპის ყუმბარმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები.

აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ. ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან მიყენებული ზიანი აუნაზღაურეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნული შემთხვევა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ აფხაზებისა და რუსების მიერ გალის ქართული მოსახლეობის მიმართ ერთობლივ ტერორისტულ დანაშაულად მონათლა.

ამ ტრაგიკულ სპექტაკლს გუშინ კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ჟურნალისტი ნანა ფაჟავა. მისი თქმით, ასეთი სპექტაკლები წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვას ისახავდა მიზნად.

ნანა ფაჟავა ამ ინციდენტს პირადად შეესწრო. ის იმ დროს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა.

— ეს იყო 2008 წლის 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც მე ერთ-ერთ უბანზე ვიყავი. ამ დროს შევნიშნე სასწრაფო დახმარებისა და სამაშველო ჯგუფების გასვლა. მე მაშინ „ადამიანის უფლებათა ცენტრში“ ვწერდი და რადიო „იმედის“ კორესპონდენტი ვიყავი. დავინახე კობა დავითაშვილის ერთ-ერთი შტაბის მანქანა და ამ მანქანას გავყევი. ასე აღმოვჩნდი ხურჩაში, ინციდენტიდან დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში. რაც ვნახე, ძალიან დიდი სტრესი იყო. გადაადგილდებოდა ძალიან ბევრი შეიარაღებული ძალოვანი. შეშფოთებულ მოსახლეობასთან გასაუბრება შევძელი. ჯერ თავს იკავებდნენ, მაგრამ შემდეგ იფიქრეს, რომ მეგრულად ჩაწერილი კომენტარი ჩემთვის გამოსადეგი არ იქნებოდა. ამიტომ, პირველივე წუთებში მე უკვე ვიცოდი, რომ მე ეს იყო პროვოცირებული



ქართველი ჟურნალისტების, ხელისუფლების და ძალოვანი სტრუქტურების მიერ. მათ პირდაპირ მითხრეს, რომ „რუსთავი 2“-ისა და „პირველი არხის“ ჟურნალისტები მივიდნენ მათთან, მოსახლეობა გაიყვანეს ხურჩიდან და უთხრეს, რომ გადადით ენგურის მეორე ნაპირზე, თითქოს აფხაზეთიდან გადმოდიხართ და ჩვენ ისე გავაკეთებთ, თითქოს თქვენ ხელს გიშლიანო. მდინარე უნდა გადმოეკვეთათ ფეხით. რადიო „იმედის“ ჩართვაში ვთქვი, რომ რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, ეს ინციდენტი ქართველი ჟურნალისტების, ხელისუფლების და ძალოვნების პროვოცირებული იყო-მეთქი. კოლეგიალობა გასაგებია და ამის გამო ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ვერ მოვიტყუებდი, ვიცოდი, რომ სროლა ხურჩის ტერიტორიიდან ისევ ხურჩის მიმართულებით განხორციელდა და დაჭრილი იყო უდანაშაულო ადამიანი. საოკუპაციო საზღვართან მდებარე ბუჩქებიდან, სადაც მისი წარმოდგენით, სულიერი არსება არ შეიძლება ყოფილიყო, ორივე ჟურნალისტი ძალოვნების მანქანებით გამოვიდა. მე დავწერე იმის შესახებაც, რაც აფხაზურმა მხარემ გაახმოვანა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის უშიშროების საბჭოს მდივანი იყო ვლადიმერ არლანი და საგანგებოდ მოიწვია სოხუმში უშიშროების საბჭოს სხდომა. წარმოუდგენელი რამ მოხდა იქ: კადრში ატრიალეს რომან შამათავას ტელეფონი, რომელიც მას ადგილზე დარჩა. აფხაზურმა მხარემ გაახმაურა, ვინ მონაწილეობდა მათთან სატელეფონო საუბრებში. გაირკვა, რომ რომან შამათავას, მისივე სამსახურის ერთ-ერთი უწყების ხელმძღვანელ ზურაბ ლოგუასა და გია ბარამიასთან ჰქონდა ეს სატელეფონო საუბრები. ზურაბ ლოგუა დღესაც მუშაობს კონტრდაზვერვის სამმართველოში, ზუგდიდში. ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ შტატივზე მიმაგრებული კამერა იღებს ყუმბარმტყორცნის გასროლას და კამერა არც კი ირხევა. სულ რომ არაფერი, შიშის მომენტი მაინც იქნებოდა, კამერა მაინც შეზანზარდება. თანაც საიდანაც გასროლა ხორციელდება, იქიდან ხდება გადაღება. რა, აფხაზებთან იდგა ოპერატორი? ხურჩის ინციდენტი პირველი შემთხვევა არ ყოფილა და მსგავსი პროვოკაციები წინასაარჩევნოდ ხშირად ხდებოდა. მე ძალიან კარგად მახსოვს 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები. არ მინდა იმ ადამიანის დასახელება, აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და მომიყვა, რომ ზუგდიდში, სოფელ ოდიშში, მდინარე ჯუმთან იგივე განმეორდა. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა დაურეკა, რომ ერთი „მარშრუტკა“ ხალხი მინდაო, გაიყვანეს ეს ხალხი და ეთერში ჩანდა, თითქოს ეს იყო აფხაზეთიდან გადმოსული ამომრჩეველი. ეს იყო ვითარების დაძაბვის მცდელობა არჩევნების წინ, რომელიც წინა ხელისუფლების ხელწერა იყო, — აცხადებს ნანა ფაჟავა.

ხურჩის ინციდენტი ნაციონალური ხელისუფლების მიერ რომ იყო დადგმული, ამაში დეპუტატ გია ცაგარეიშვილს ეჭვი არასდროს ეპარებოდა. ის კმაყოფილია იმით, რომ შსს-მ ამ გახმაურებული საქმისთვის მოიცალა. ცაგარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ხურჩის ინციდენტზე დანაშაულის კვალი ძალიან მაღალი თანამდებობის პირებამდე მივა.

— ეს ყველაფერი ხდებოდა იმჟამინდელი წინასაარჩევნო აჟიოტაჟის გადასაფარად. საკმაოდ დრამატულად ვითარდებოდა მოვლენები 2008 წლის 21 მაისის არჩევნების წინ. მაშინ ეჭვები იყო, მაგრამ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდებოდა საგამოძიებო მასალებთან, ეს პროცესი დახურული იყო. ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით, თუმცა ვერაფერს ვამტკიცებდით. შეიცვალა ხელისუფლება, მიდგომებიც შეიცვალა და ეს უმძიმესი სახის დანაშაული გამოაშკარავდა. საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ ამ ტერაქტის დაგეგმვაში. ერთია, ვინ განახორციელა ეს ტერაქტი და ვინ არიან უშუალოდ შემსრულებლები. ისინი დაკავებულნი არიან, თუმცა საინტერესოა, კვალი სად მიდის. მე დარწმუნებული ვარ, კვალი მიდის უშუალოდ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებამდე, მაგალითად, ისეთებთან, როგორიც იყვნენ მერაბიშვილი, ახალაია და სხვები, — განუცხადა სააგენტო „პირველს“ გია ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის თქმით, შემსრულებლები ასეთ ავანტიურაზე თვითონ ვერ წავიდოდნენ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის უშუალო მითითება და დავალება რომ არ ყოფილიყო.

— არ გამოვრიცხავ, რომ ეს სააკაშვილისგანაც მოდიოდეს. ეს ყოველივე არჩევნებთან იყო დაკავშირებული, რომ მოსახლეობის ყურადღება როგორმე გადატანილი ყოფილიყო აფხაზეთიდან მომდინარე საფრთხეებზე, გაწირეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გაანადგურეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ჭრილობები მიაყენეს რამდენიმე ადამიანს, ერთი მათგანი კინაღამ შეეწირა ამ ფაქტს და ბოლოს ისე გათავხედდნენ, რომ ფულიც კი შეაძლიეს დუმილის სანაცვლოდ დაზარალებულებს. მე დარწმუნებული ვარ, გამოძიება ამასაც დაადგენს, თუ უკვე დადგენილი არ აქვს, თუ რამდენი იყო გადახდილი და ვინ გადაიხადა ეს თანხები. კარგად დაგეგმილ ტერორისტულ აქტთან გვქონდა შეხება, რომელიც მაშინ ვერ გამომჟღავნდა, საზოგადოებისთვის ვერ გახდა ხილული და ვერც გახდებოდა. ჩამდენიც, შემკვეთიც იყო ერთი და იგივე პოლიტიკური ძალის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი დარწმუნებულია, რომ დანაშაულის კვალი ძალიან მაღალი თანამდებობის პირებამდე მივა.

— მინდა მკითხველმა პარალელი გაავლოს წინასაარჩევნო პერიოდზე, როგორი იყო და ახლა როგორია. სახელმწიფო ტერორიზმი პირდაპირ ხელდასმულია სახელმწიფოს უმაღლესი პირების მიერ, როგორიცაა საქართველოს პრეზიდენტი, შს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და ამ დროს რა მორალზე შეიძლება საუბარი. როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ამჟამინდელი და მაშინდელი წინასაარჩევნო პერიოდი. მე მგონია, რომ ყველამ იგრძნო, რას გადავრჩით ჩვენ პირველი ოქტომბრით, ვინ მოვიშორეთ ხელისუფლებიდან, როგორი დონის ნაძირლები და სახელმწიფო დამნაშავეები მოვიშორეთ ხელისუფლებიდან, რომლებიც მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარდგებიან. დარწმუნებული ვარ, კონკრეტულად ამ დანაშაულის კვალი ძალიან მაღალ თანამდებობის პირებამდე მივა, ზოგიერთი მათგანი ახლაც უკვე სასჯელს იხდის, ზოგიერთი გადახვეწილია და მოუსვლელში ემალება მართლმსაჯულებას. ჩვენ ქვეყანას მთელი ამ წლების მანძილზე, ავანტიურისტები, კრიმინალები და ტერორისტები მართავდნენ, — აღნიშნავს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე იმ დღეს ხურჩაში არჩევნებს აკვირდებოდა. 21 მაისის ინციდენტი ძალიან კარგად ახსოვს. მაშინაც და ახლაც დარწმუნებულია, რომ მაშინ ხურჩაში არანაირი რეალური ტერაქტი არ მოხდარა. კობახიძის თქმით, ყველაფერი შსს-ს დადგმული იყო.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში გახსნილი ტერაქტის შემკვეთებად წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მიიჩნევს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის განცხადებით, ტერაქტი წინა ხელისუფლების ძალოვანმა სტრუქტურებმა დაგეგმეს.

— ძალიან კარგად მახსოვს ტერაქტის დღე. მაშინ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელი ვიყავი და არასამთავრობო სექტორს წარმოვადგენდი. როგორც კი ეს ფაქტი მოხდა, არასამთავრობოების მიერ მოპოვებული ინფორმაციებით, მაშინვე გახმაურდა ინფორმაცია, რომ ეს იყო წინა ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების დაგეგმილი. იქ არანაირი რეალური ტერაქტი არ მომხდარა. ყველაფერი იყო დადგმული სამეგრელოს რეგიონში შიშის დასათესად. შსს ცდილობდა არეულობისა და დესტაბილიზაციის შიშის შექმნას. ეს ფაქტები იმდენად ნათლად და ზედაპირზე იყო ამოწეული, რომ თვითონ ეუთოს დამკვირვებლებსაც კითხვები და ეჭვები გაუჩნდათ, — განუცხადა მანანა კობახიძემ „ტელეგრაფს“.

კობახიძის განცხადებით, ტერაქტის გამო ხურჩის საარჩევნო უბანი დაიხურა, თუმცა, როდესაც საარჩევნო დრო ამოიწურა და უბნები დაიხურა, კობახიძე აღნიშნავს, რომ ხურჩის გაუქმებული საარჩევნო უბნიდან ყუთი და სიები დასათვლელად მაინც მიიტანეს.

— 2008 წლის 21 მაისს იქ ბევრი ძალიან საეჭვო რამ მოხდა. მათ შორისაა არჩევნების ჩაშლა იმ სოფელში, სადაც ტერაქტი მოხდა. ჩვენ გავაპროტესტეთ ხურჩიდან ყუთის მოტანის ფაქტი, რადგან იქ არჩევნები არ შემდგარა. როგორ ჩატარდა არჩევნები უკვე დახურულ უბანზე და როგორ მოხდა, რომ ყველა ამომრჩეველმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა ხმა? მათ თქვეს, რომ უბანი ხელახლა გახსნეს და ჩაატარეს არჩევნები. ასევე საეჭვოდ გადაიღო „რუსთავი 2“–მა ეს ყველაფერი. საიდან გაჩნდნენ ეს კამერები და ჟურნალისტები შემთხვევით ტერაქტზე? — აცხადებს მანანა კობახიძე.

იმ პერიოდში ამ თემაზე ნაციონალების მხრიდან დიდი ალიაქოთი ატყდა. გუშინ კი მათი უმეტესობა რატომღაც თავს იკავებდა ამ თემაზე საუბრისგან.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბობოხიძე ლოგიკას ვერ ხედავს, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს რატომ უნდა მოეწყო წინა ხელისუფლებას ტერაქტის იმიტაცია.

დეპუტატის თქმით, მთავარია, რამდენად მყარი და რეალური იქნება მტკიცებულებები, რადგან ძალიან ბევრ რამეს ამბობდნენ, რაც მართალი არ აღმოჩნდა.

— ჯერჯერობით ამას ამბობს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაველოდოთ, ვნახოთ, რა მტკიცებულებები დაიდება საბოლოო ჯამში. რასაც ამბობენ, არ ნიშნავს, რომ ასეა. ლოგიკას ვერ ვხედავ, მოსახლეობის დაშინების მიზნით რატომ უნდა მოეწყო ხელისუფლებას ტერაქტის იმიტაცია. რატომ უნდა დაგვეშინებინა მოსახლეობა, ძალიან საინტერესოა, — აცხადებს ბობოხიძე.

2008 წელს ხურჩაში მომხდარი ინციდენტი გაერო-ს გენერალური მდივნის პან გი მუნის მოხსენებაშიც მოხვდა, რომელიც აფხაზეთში არსებულ სიტუაციას შეეხებოდა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ 21 მაისს, სოფელ ხურჩაში ძლიერ სროლებს ჰქონდა ადგილი. დოკუმენტის თანახმად, მოედანზე გარკვეული რაოდენობის ადამიანი იყო შეკრებილი, ძირითადად გალის რაიონიდან. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ადამიანებს „სთხოვეს შეკრებილიყვნენ“, რათა იქიდან ავტობუსებით გადაეყვანათ ზუგდიდში საპარლამენტო არჩევნებში ხმის მისაცემად, თუმცა არ არის ნათქვამი, ვინ სთხოვა შეკრება.

ნაციონალები ამ საქმის გამოძიებაში პოლიტიკურ მოტივს ხედავენ. მეოცნებეები კი ამბობენ, რომ სამართლიანობის აღდგენა მიდის. შსს-ს მიერ დაკავებულები ამ სპექტაკლს თავისი ინიციატივით რომ არ დადგამდნენ, ფაქტია. საინტერესოა, ვისთან მივა გამოძიების კვალი.

# დავით ზურაბიშვილი: „უპრაგონო დაპატიმრებების მომხრე არა ვარ“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ დავით ზურაბიშვილთან

***— თუ მარგველაშვილი მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, რასაც ივანიშვილიც აცხადებს, რა პროცესები დაიწყება?***

— დარწმუნებული ვარ, მეორე ტური არ გაიმართება, ეს განცხადება უფრო ეკუთვნოდა კოალიციის მხარდამჭერ ამომრჩეველს, რომელიც ფიქრობს, რომ მარგველაშვილი მისი ერთი ხმის გარეშეც გაიმარჯვებს და არ აპირებს არჩევნებზე წასვლას. ზოგი გააბრაზა ბატონი ივანიშვილის ამ განცხადებამ, ზოგმა კი ეს სწორად აღიქვა, ზოგისთვის ეს იქნება მობილიზების ფაქტორი, ზოგისთვის პირიქით, გამაღიზიანებელი გახდეს.

***— რას ნიშნავს ივანიშვილის განცხადება, რომ თუ მარგველაშვილს არ აირჩევენ, ის საერთოდ წავა პოლიტიკიდან და ხელისუფლებიდან?***

— ივანიშვილი ალბათ ფიქრობს, რომ მარგველაშვილს თუ არ აირჩევენ, ეს მისთვის უნდობლობის გამოცხადება იქნება. ესეც ემსახურება იმას, რომ მეტი მობილიზება მოხდეს ამომრჩევლისა და მეტი ხალხი მივიდეს არჩევნებზე. რამდენად გაამართლებს ეს, ამას დავინახავთ არჩევნებზე.

***— მეორე ტური რომ გაიმართოს მარგველაშვილის გარეშე და ბაქრაძესა და ბურჯანაძის დუელი შედგეს, ეს ქვეყნის ინტერესებს დააზარალებს? როგორ ესმის ეს ივანიშვილს?***

— ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ეს მოხდეს.

***— ყველაფერი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ეს ხომ არჩევნებია.***

— წარმოუდგენელია, რომ ბაქრაძემ და ბურჯანაძემ ერთად მარგველაშვილზე მეტი ხმა დააგროვონ. თეორიულადაც არ ვუშვებ ამას. თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ იდეაში რომ დავუშვათ მეორე ტური, აუცილებლად მარგველაშვილი იქნება ერთ-ერთი. აქ უფრო საუბარია იმაზე, ვინ იქნება მეორე ადგილზე. ბაქრაძე და ბურჯანაძე რომ შეხვდნენ ერთმანეთს მეორე ტურში, ეს არ იქნება ჩემი არჩევანი ნამდვილად. დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ არ მოხდება, გამორიცხულია.

***— ერთწლიანი მოღვაწეობა „ქართული ოცნებისა“ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამომრჩეველი კვლავ კოალიციის კანდიდატს დაუჭერს მხარს?***

— კრიტიკული დამოკიდებულება, ბუნებრივია, არის, მოლოდინების გაუმართლებლობის მომენტიც არის და შეუძლებელია ერთ წელიწადში ყველა დაპირება იყოს შესრულებული. იდეალურიც რომ იყოს მთავრობის საქმიანობა, კრიტიკულად განწყობილი ადამიანების რიცხვი მაინც გაიზრდება. ნაცმოძრაობის ტაქტიკა არასწორია თითქოს სამოცდათექვსმეტი დაპირება არ შესრულდაო.

***— ერთი ძირითადი დაპირება, რაც ამომრჩეველს უნდოდა, არ შეგისრულებიათ, ნაცმოძრაობის დანაშაულში ეჭვმიტანილი წევრები პასუხისგებაში არ მიგიციათ.***

— მე ამაში ვერ დაგეთანხმებით, ეს პროცესია, ამაზე თქვა კიდევაც ივანიშვილმა, უცებ და მყისიერად ეს ვერ მოხდება. პრობლემები ამ მხრივ არის, ცხადია, უფრო დიდი ხარვეზებია საკუთრების დაბრუნების თვალსაზრისით, ეს საკმაოდ რთული პროცესია. მაკიაველს აქვს ნათქვამი, საკუთრების წართმევა ყველაზე ცუდი რამ არის, რაც კი შეიძლება ადამიანს გაუკეთო, მკვლელობაზე უარესიც კია. ამ პრობლემას ხელისუფლებამ უნდა მიხედოს.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი, როცა ამა თუ იმ საწარმომ და კომპანიამ მფლობელები რამდენჯერმე გამოიცვალეს?***

— თუ არის შემთხვევები, რომ სახელმწიფომ წაიღო კერძო საკუთრება, ეს შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს, თუ მესამე ან მეოთხე რიგის მფლობელია, იქ შეიძლება რაღაც კომპენსაციაზე იყოს ლაპარაკი. ეს ხალხი არ გაჩერდება. თუ ამ პროცესს ხელისუფლებამ არ მიხედა, შეიძლება კრიმინალურ სამყაროში გადაინაცვლოს ამ დავამ და ქურდულმა სამყარომ დაიწყოს ამის განხილვა. დაპატიმრებებს რაც შეეხება, აქ პროკურატურამ უნდა დადოს მტკიცებულებები, სასამართლომ განიხილოს და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა. არ ვარ მომხრე, რომ პოლიტიკურმა მიზანშეწონილობამ გადაწონოს სამართლებრივი საკითხები. ბაჩო ახალაია ვინც არის, ყველამ ვიცით, ამის გამო არ იყოს სერიოზული მტკიცებულებები, ეს არ იქნება სწორი გზა. იყო ცდუნება, რომ ყველას ერთად დაერიონ და ჩააგდონ ციხეში, მაშინ ჩვენ იმათზე არაფრით უკეთესები არ ვიქნებით, ვისაც ვებრძოდით ამდენი ხანი. არ გვინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც ადამიანს როგორი რეპუტაციისაც არ უნდა იყოს, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ჩააგდებენ ციხეში.

***— თქვენს ოპონენტებს ეჭვი აქვთ, რომ დასავლეთიდან მიიღო მითითება ხელისუფლებამ და ამიტომ შეჩერდა ეს პროცესი.***

— ამაზე არ არის საუბარი. დასავლეთი არ არის პოლიტიკური ანგარიშსწორების მომხრე, მაგრამ დასავლეთის და აღმოსავლეთის გარეშეც ვემხრობი ამ აზრს, მაშინაც, როცა ნაცმოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, იმ აზრზე ვიყავი, რომ ეს უპრაგონო დაპატიმრებები ცუდი იყო.

***— მაშინ მტკიცებულებები არ ჰქონდათ და ისე აკავებდნენ, არა?***

— რა მტკიცებულებაზე იყო საუბრი, დაიჭერდნენ, გაპრესავდნენ, ფულს წაართმევდნენ და უშვებდნენ. ვინც ფული არ გადაიხადა, მაგალი-



თად, მოლაშვილმა და მირცხულავამ, ისინი ციხეში ჰყავდათ.

***— თავიდანვე სახელმწიფო რეკეტით დაიწყეს ქვეყნის მართვა ნაციონალებმა, ასე გამოდის.***

— დიახ, დამტკიცებით არავის არაფერი დაუმტკიცდა, წმინდანის რეპუტაცია მოლაშვილს სულაც არ ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს. როცა ამის მწარე გამოცდილება გაქვს, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მტკიცებულებების გარეშე ადამიანების ციხეში ჩაგდებამ, ეს აღარ უნდა გაიმეორო. ვიღაცამ შეიძლება ჭუჭყიანი საქმე შეასრულა და ახლა მან რაღაც უნდა მიიღოს, ნაცმოძრაობის დროს ასე მოხდა, ბაჩო ახალაია მუშაობდა ჩემთან ერთად, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, არც მანიაკობა შემიმჩნევია მისთვის, არც სხვა არაფერი, გარბოდა, გამორბოდა, აქციებში მონაწილეობდა, ჩათვალა, რომ კარგ საქმეს აკეთებდა, კარგია ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა, აქ ჩათვალა, რომ შეიძლება გადაუხვიო კანონსაც, მორალსაც, ამან აქცია მერე ეს ადამიანი მონსტრად.

***— დღესაც იმუქრება, რომ გამოვა ციხიდან, დაასრულებს დაწყებულ საქმეს და ალაგმავს ქურდულ სამყაროს.***

— ეტყობა აქვს რაღაცის ილუზია. ადამიანებს უჭირთ ძალაუფლების ხიბლიდან გამოსვლა. ოქრუაშვილი მახსენდება, როცა ის თავდაცვის მინისტრობიდან გადადგა, უთხრეს, დაგიჭერენო, მას სრული განწყობა ჰქონდა იმისა, რომ ამას ვერ გაუბედავდნენ. ბურჯანაძე რომ წავიდა ოპოზიციაში, ერთ ლარად ღირებული აგარაკის წართმევას ვერ გამიბედავენო, ამბობდა. არც ერთი არ არის უგუნური ადამიანი, მაგრამ ხიბლში იყვნენ შესული. ახალაია რვა წელი შიშის ზარს სცემდა ყველას, ახლა კი ნულია.

***— მთავრობას პიარის პრობლემა აქვს, ამაზეც მიუთითებენ ოპონენტები, თუ რაიმე კარგი კეთდება, სათანადოდ არ მიეწოდება საზოგადოებას. ამაზე რას იტყვით?***

— სრულად ვეთანხმები ოპონენტებს. სააკაშვილს ყველაფერი პიარზე ჰქონდა აგებული, პატარა რამეს გააკეთებდა და იმხელა პიარს უკეთებდა, გეგონებოდა ქვეყანა აშენდა. მაგრამ მთლად ასეთი უგულვებელყოფა, რაც ახლა ხდება, არ შეიძლება. ინფორმაციის მოწოდების დონეზეც კი ვითარება ისეთია არ არის, როგორიც უნდა იყოს. რეგიონებში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა. კომუნიკაცია ასაწყობია.

***— კომუნიკაცია დეპუტატებსაც აკლიათ მინისტრებთან, ჟურნალისტებსაც. ამაზე რას იტყვით?***

— დიახ, მთავრობა და პარლამენტი ერთ ქალაქში უნდა იყოს. მუდმივი კომუნიკაცია უნდა იყოს.

***— მაინც რა მიზანი ჰქონდა სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას?***

— სააკაშვილი პარლამენტს არაფრად აგდებდა, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლება გადაწყვეტდა, იმას ეთანხმებოდა პარლამენტი, მომხრეებს ასაქმებდნენ, არ არსებობდა სააკაშვილი წასულიყო საზღვარგარეთ და დეპუტატების რაღაც ნაწილი არ წაეყვანა. პრივილეგირებულობის მომენტი იყო. ბიზნესზეც თვალს უხუჭავდნენ, მთავარია ჩუმად ყოფილიყვნენ. არ აპირებდა წასვლას, ამიტომ იცოდა რა ხალხის განწყობა და რომ არ გამეორებულიყო ვარდების რევოლუციის მსგავსი მოვლენები, გადაიტანა პარლამენტი ქუთაისში. აქ სხდომა რომ არ გამართულიყო, ყველაფერი დაამტვრიეს. ამას გამართლება არა აქვს. ქუთაისს ეს პარლამენტი არაფერში ადგია, იმიტომ, რომ ისიც ქუთაისის გარეუბანშია, ქალაქიდან მოწყვეტილია. თბილისში გლდანულაში რომ იყოს პარლამენტი, ის კიდევ უფრო ახლოს იქნებოდა, ვიდრე ახლა რომ არის პარლამენტი ვითომ ქუთაისში. ტრასაზე რომ გამოხვიდე, ნახევარი კილომეტრი უნდა გაიარო.

***— პრესაში დაიწერა, რომ ბურჯანაძე დამარცხების შემთხვევაში ხმების დაცვის მოტივით ქუჩის აქციებს მიმართავს, მზად არის ხელისუფლება იმისათვის, რომ არ დაუშვას რაიმე ფორმის დესტაბილიზაცია?***

— რა დესტაბილიზაციაზეა საუბარი, აქციის გამართვა ყველა პოლიტიკური ძალის კონსტიტუციური უფლებაა, აქციაში ხალხის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რაოდენ სამართლიანი იქნება ეს არჩევნები, დღეს არ არის ზეწოლა ამომრჩეველზე, პოლიტიკური ნებაა, რომ არჩევნები ჩატარდეს წესიერად. ბევრი ხალხი არ მივა ბურჯანაძის აქციაზე, როცა ლევან გაჩეჩილაძე აწყობდა აქციებს და იქ ხალხის რაოდენობა ძალიან დიდი იყო, იქ ზღვა ხალხი იმიტომ მიდიოდა, რომ ყველამ იცოდა, ეს არჩევნები მოგებული იყო.

***— ქუჩის აქციები გასაგებია, მაგრამ პრესაში გავრცელდა ვერსია, რომ ბურჯანაძე პრემიერობისთვის იბრძოლებს, პარლამენტში შეიქმნება მისი მხარდამჭერი ფრაქციები, ხუთ მინისტრს დაბლოკავენ, რაც ახალ პრემიერს იძულებულს გახდის, თანამდებობა დატოვოს და ბურჯანაძეს წარადგენენ ეს ფრაქციები. რამდენად დამაჯერებლად გეჩვენებათ ეს ვერსია?***

— ნამეტანი ჩახლართული სცენარია, ფრაქციების შექმნაზე ვერაფერს გეტყვით, შეუძლებელია ძალთა სხვა გადანაწილება მოხდეს კოალიციაში, ნაცმოძრაობა ბურჯანაძეს მხარს არ დაუჭერს.

***— თავად ნაცმოძრაობას რომ ჰქონდეს მსგავსი გეგმა?***

— ბაქრაძის გამარჯვების შემთხვევაში თუ იმუშავებს ეს გეგმა, სხვაგვარად როგორ უნდა იმუშაოს ამ გეგმამ.

***— მრეწველები და ეროვნული ფორუმი დადუმდნენ, მათგან არაფერი ისმის, სწორედ მათზეა ეს მინიშნებები, რომ ბურჯანაძეს მხარს დაუჭერენ.***

— ჯერჯერობით რაც მე ვიცი, კოალიციაში არ არის პრობლემები. დაველოდოთ ამ არჩევნებს, ეს არჩევნები ნამდვილად სამართლიანად და დემოკრატიულად ტარდება. რეალურ ბალანსს გვიჩვენებს, რა განწყობებია.

***— რუსეთს რამდენად აქვს გავლენა ჩვენს პოლიტიკასა და სახელისუფლებო სტრუქტურებზე?***

— ვფიქრობ, არანაირი გავლენა არა აქვს. მხოლოდ ის, რომ უხეში ძალით მოქმედებს. ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ტკბილად დაველაპარაკებით და დაგვიბრუნებს ტერიტორიებს. მკვეთრი რიტორიკა რომ აღარ არის, ეს სწორია, რუსეთი აქამდე ამბობდა, რომ სააკაშვილი გიჟია, გადარეულია და არ გვინდა მასთან ურთიერთობაო, ამას ვეღარ იძახის. სახელმწიფომ გონივრულად უნდა იმოქმედოს. უნდა გაგრძელდეს არაღიარების პოლიტიკა, ასევე უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთობა. იანუკოვიჩმა გააკეთა არჩევანი ევროპაზე და ჩვენ, ვფიქრობ, ამ არჩევანზე უარს არ ვიტყვით. იანუკოვიჩზე უფრო დიდი პრორუსი არ მეგულება, მაგრამ იცავს თავისი ქვეყნის ინტერესებს. რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას აშკარად სჯობს ევროკავშირთან ურთიერთობა. როცა განათლების სამინისტროში ვიყავი, უშუალოდ შევესწარი არაღიარების პოლიტიკის თავისებურებებს, დადის ეს რუსეთი კუნძულ-კუნძულ, ეხვეწება, იქნებ აღიაროთ აფხაზეთი და ოსეთიო, მოგცემთ ფულსო, ეს კუნძულელები კაი შებერტყილი ხალხია, რუსებს თავს უკანტურებენ, მერე ჩვენ გვიკავშირდებიან, თუ გინდათ აფხაზეთი არ ვაღიაროთ, სანაცვლოდ მოითხოვენ, რომ სტუდენტებმა ჩვენს სასწავლებლებში ისწავლონ ჩვენს ხარჯზე.

***— სოჭის ოლიმპიადაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ამის სასარგებლოდ რა არგუმენტებია?***

— ჩვენ არ უნდა ვთქვათ, რომ არ გვინდა, რუსეთთან სპორტული ურთიერთობები გვაქვს, წინა ხელისუფლების დროსაც დადიოდა ის ხელისუფლება ტურნირებზე, მაგალითად, ჩვენი რაგბისტები როცა ამარცხებდნენ რუსებს, ჩვენ ძალიან გვიხაროდა. მსოფლიო თანამეგობრობა უარს მონაწილეობის თაობაზე აღიქვამს როგორც დესტრუქციულ ნაბიჯს ჩვენი მხრიდან. ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წავიდეთ, ესეც არ არის სწორი პოზიცია, იყო მომენტები, რაც ჩვენი მხრიდან იყო პროტესტის საფუძველი, აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელ დელეგაციებად გააფორმეს, ამაზე ჩვენმა მთავრობამ პროტესტი გამოთქვა. თუ ეს ოლიმპიადა ოკუპაციის ლეგიტიმაციად იქნება გამოყენებული, ასეთ შემთხვევაში შეიძლება არ წავიდეთ.

# კახა კოჟორიძე: „მოსამართლეები მაღალჩინოსნების საქმეებში ლოიალურები არიან“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებულს საერთოდ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება. ეს საქმე, როგორც ჩანს, თბილისის მერ გიგი უგულავას შეეხებოდა.

აღკვეთის ღონისძიების სახეებთან დაკავშირებით, საანალიზო პერიოდში ორი გამონაკლისი დაფიქსირდა – ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ბრალდებულს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება შეეფარდა და მე-2 შემთხვევა – როდესაც პირს სასამართლომ საერთოდ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება.

მონიტორინგის ავტორები აცხადებენ, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სასამართლო უფრო მეტ ლოიალობას იჩენდა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელ-



თა მიმართ და ნაკლებად ლოიალური იყო სხვა მიმდინარე საქმეებში ბრალდებულად ცნობილ პირებთან მიმართებით.

პროექტის მიზანია სასამართლო სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით და მასზე ანგარიშების გამოქვეყნებით საქართველოს სასამართლოებში სისხლის სამართალწარმოების გამჭვირვალობის გაზრდა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის კახა კოჟორიძის შეფასებით, მოსამართლეები ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების საქმეებში გაცილებით ლოიალურები არიან, ვიდრე რიგით საქმეებში.

კოჟორიძის განმარტებით, საია დაახლოებით 600-მდე პროცესს დაესწრო და მონიტორინგი 2013 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში განხორციელდა.

— დადებითი ტენდენცია შეინიშნება იმ კუთხით, რომ მოსამართლეები არ არიან ავტომატურ რეჟიმში ორიენტირებულნი პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, თავად პროკურატურა კი ცდილობს, საქმეები უფრო მეტად დაასაბუთოს, თუმცა აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებისას მოსამართლეები უფრო ლოიალურები აღმოჩნდნენ მაღალჩინოსნების საქმეებში, ვიდრე რიგით საქმეებთან დაკავშირებით, რაც კითხვით ნიშნებს ბადებს, — განაცხადა კახა კოჟორიძემ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის განცხადებით, შესაძლოა, შეცდომები იყო, თუმცა საზოგადოება უნდა შეეგუოს იმას, რომ მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს.

ასე გამოეხმაურა მურუსიძე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შეფასებას, რომლის თანახმად, მოსამართლეები მაღალჩინოსნების საქმეებზე ლოიალურები არიან.

— საზოგადოება უნდა შეეჩვიოს იმას, რომ როცა მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას, ეს კანონის ფარგლებშია მიღებული. შეიძლება, იყოს ხარვეზები და შეცდომები, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ზემდგომ ინსტანციას მიმართონ. ჯანსაღი კრიტიკა მისაღებია, თუმცა, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას მოსამართლე იღებს და საზოგადოებამ ამ გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს, — განაცხადა ლევან მურუსიძემ.

# სანდრო ბრეგაძე: „ბაქრაძის გაპრეზიდენტება პოლიტიკური კატასტროფაა!“



## ივანიშვილის გარემოცვა სავსეა სოდის, კუდისა და ათასი ასეთი საზიზღარი ორგანოების მიერ გადაბირებული აგენტებით

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, გუშინ ბიძინა ივანიშვილი ნაციონალებიდან წამოსულ მაჟორიტარ დეპუტატებს შეხვდა. თქვენ ამაზე საკმაოდ მძაფრი პოზიცია გამოხატეთ სოციალურ ქსელში. ფიქრობთ, არ უნდა შეხვედროდა?***

— მინდა, კიდევ ერთხელ ჩემი აღშფოთება გამოვხატო იმ შეხვედრის გამო, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში შედგა და სადაც ბიძინა ივანიშვილი შეხვდა ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრებს, მაშინდელი უმრავლესობის ლიდერებს ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენდნენ წლების განმავლობაში. ამ შეხვედრის ფოტოც გამოქვეყნდა, რომელსაც მე დავარქვი ბიძინა ივანიშვილი ავაზაკებისა და სამშობლოს მოღალატეების გარემოცვაში. მართლაც სირცხვილია და ძალიან დიდი სირცხვილი, იმიტომ რომ ეს ის ხალხია, რომლებიც 9 წელი უმოწყალოდ ძარცვავდნენ საქართველოს, ეს ის ხალხია, რომლებიც ციხეებში ახალგაზრდებს აწამებდნენ, მამაკაცების გაუპატიურებით ტკბებოდნენ, მიშა სააკაშვილის ყველა სურვილს ასრულებდნენ. 7 ნოემბერს, 26 მაისს იმ საშინელებებში მონაწილეობდნენ და მერაბიშვილთან, ადეიშვილთან და ბოკერიასთან ერთად დიქტატურის დამყარებაში შეიტანეს წვლილი. ამ ხალხს ყველანაირ უბედურებაში აქვს მიღებული მონაწილეობა რაც საქართველოში 9 წლის განმავლობაში ხდებოდა. ეს ის ხალხია, რომლებმაც ყველა არჩევნები გააყალბეს, ხმები წაგვართვეს. ეს ის ხალხია, რომლებიც ჩვენი ქონების ძარცვით გამდიდრდნენ და ამ ხალხის ხელები ჩვენი თანამემამულეების სისხლშია გასვრილი. ეს არის სადისტთა, დამნაშავეთა, მოღალატეთა და ავაზაკთა ბანდა, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, დავით საგანელიძემ შეიფარა თავის ფრთებქვეშ და იმდენი მოახერხა გია ხუხაშვილთან ერთად, რომ ბიძინა ივანიშვილთან მიიყვანა და ჩაახუტა. მე ერთი კითხვა მებადება: 2012 წლის პირველ ოქტომბერს ვინმეს ასეთი შეხვედრა რომ ენახა, რას იზამდა, არჩევნებში ვის მისცემდა ხმას? მე აქვე გეტყვით, რომ ისინი ოცნებას ნამდვილად არ მისცემდნენ ხმას. თუ ეს იყო პირველი ოქტომბრის გამარჯვების არჩევანი და შედეგი, მე როგორც პირველი ოქტომბრის გამარჯვების ერთ-ერთი მონაწილე, უარს ვამბობ ასეთ გამარჯვებაზე. გამარჯვებაზე, რომელიც ფაქტობრივად დამარცხება ყოფილა. გამარჯვება, რომელმაც ავაზაკები კი არ ალაგმა, არამედ გააძლიერა და ახალ ხელისუფლებაზე დააქორწინა. ეს გამარჯვება კი არა, დამარცხება ყოფილა. როდესაც ასეთ რამეს ხედავ და აწყდები, რა თქმა უნდა, გული გიცრუვდება ყველაფერზე.

***— ეს არის კოჰაბიტაციის ფინალი?***

— ეს არ არის კოჰაბიტაცია. ეს არის ქორწინება. კოჰაბიტაცია არის გარკვეული თანაცხოვრება და თანაარსებობა, ხოლო ის, რომ ბატონ ივანიშვილს, ხუხაშვილმა, საგანელიძემ და ასეთი ტიპის კარის მსახურებმა ყველა პატიოსან ადამიანს ბიძინა ივანიშვილთან მისასვლელი ყველანაირი გზა ჩაუკეტეს და მათ მაგივრად მიჰყავთ ისეთი ბანდიტები, რომელ ბანდიტებთანაც შეხვედრა და ტკბილი საუბარიო გუშინ შედგა. ეს ყველაფერი კი იმის მანიშნებელია, რომ ეს არის პოლიტიკური ქორწინება და არა კოჰაბიტაცია. კოჰაბიტაცია თანაარსებობას ნიშნავს და იმას ნიშნავს, რომ არ განხორციელდეს მასობრივი ანგარიშსწორება ნაციონალებზე. ამაზეც არ არის საუბარი, ჩვენ საუბარი გვაქვს ნაციონალების დაბრუნებაზე ხელისუფლებაში, ნაციონალების დაბრუნებაზე ბიზნესში და ნაციონალების ყოფნაზე აბსოლუტურად ყველა სფეროში. ეს კი არის დამღუპველი და იმ იდეების საწინააღმდეგო, რომელი იდეებითაც პირველ ოქტომბრის გამარჯვება მოხდა.

***— ეს ყველაფერი ხდება არჩევნების წინ და რას ფიქრობს პრემიერი?***

— რას ფიქრობენ, სიმართლე გითხრათ, მე ნაკლებად ვიცი, იმიტომ რომ იმ ადამიანების ტვინში რა ხდება, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცევიან, ძალიან ძნელია, განსაზღვრო. ეს კიდევ ერთხელ მიღრმავებს იმის საფუძვლიან ეჭვს, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა, ჩემდა სამწუხაროდ, სავსეა თავის დროზე სოდის, კუდის და ათასი ასეთი საზიზღარი ორგანოების მიერ გადაბირებული აგენტებით. ეს ფაქტი ფაქტად რჩება და ის, რაზეც ბოლო პერიოდია პრესაში საუბრობენ, არცთუ უსაფუძვლოა. ჩვენ დავინახეთ, რომ ის ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აქტიურად ებრძოდნენ ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ეს დიქტატორული რეჟიმი დამარცხებულიყო, ფაქტობრივად, მათი 99% თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა და საქართველოს ხელისუფლებაში კვლავ არიან სახე შეცვლილი და ფერშეცვლილი ნაციონალური მოძრაობის წევრები. ან თავისუფლების ინსტიტუტის პირმშოები და ასეთი ტიპის ავაზაკები. ცოტა ძნელი განსასაზღვრია, რა აქვთ ჩაფიქრებული, ვერ გაიგებ, რა მოუვათ იმ ავადმყოფურ ტვინებში. ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ამათგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.

***— არჩევნებიც მოგვადგა კარს, რას ელოდებით? რა პროცესები გველის?***

— ჩემთვის ცოტათი უცნაურია და ალბათ არ იყო საჭირო იმის წინასწარ განცხადება, რომ მარგველაშვილმა გინდა თუ არა, უნდა მიიღოს 60%. საერთოდ, წარსული ხელისუფლების გამონათქვამებს თუ შევხედავთ, ეს ხელისუფლებები, რომელიც რას ამბობდა, იმდენი პროცენტი უჯდებოდა არჩევნებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ეს ტრადიცია გაგრძელდეს და ვნახოთ, რომ მარგველაშვილმა მართლაც პირველ ტურში გაიმარჯვოს.

***— ეს იყო მითითება პრემიერის მხრიდან, რომ მარგველაშვილმა 60% უნდა აიღოს?***

— მითითება არ იყო პრემიერის მხრიდან, მაგრამ ჩვენ ვიცით ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები, გამგებლები და ადგილობრივი ჩინოვნიკები, რომლებიც ამას, რა თქმა უნდა, პირდაპირ გაიგებდნენ და მე რამდენადაც გავიგე, ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის მიმდინარეობს „სოციალისტური შრომის“ შეჯიბრება იმასთან დაკავშირებით, ვინ უფრო მეტ პროცენტს აალებინებს მარგველაშვილს. მათ ეს პირდაპირ გაიგეს. ისინი უკვე საუბრობენ, თუ მე მეტი პროცენტი ავალებინე, მე უფრო კარგი პოზიციები მექნება შემდგომში ხელისუფლებაშიო. ეს ყველაფერი არ არის კარგი და საქართველოსთვის ბევრად უფრო კარგი იქნებოდა მეორე ტური.

***— რატომ იქნებოდა?***

— მეორე ტური მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის — ეს იქნებოდა საქართველოსთვის, ჩვენი ერის განვითარებისთვის ძალიან კარგი მოვლენა, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემს ნება-სურვილზე არ არის არჩევნების შედეგები დამოკიდებული. თუ როგორი შედეგი იქნება, ამას 28 ოქტომბერს გავიგებთ. ერთი რამ ცხადია, ჩემდა სამწუხაროდ, მაინც ვერ მოხერხდა ხელისუფლების განცალკევება საარჩევნო პროცესისგან და საარჩევნო პროცესის ისეთ პირობებში წარმართვა, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, თუმცა აქვე ერთი რამეც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არჩევნები, ყველა სხვა ჩატარებულ არჩევნებთან მიმართებით, რომელსაც შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებები ატარებდნენ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო დემოკრატიული იქნება.

***— როგორ სცენარს ელით არჩევნებზე? ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ მეორე ადგილზე ბაქრაძის გაყვანა უნდა და ასეც იქნება. თქვენი პროგნოზები როგორია?***

— იმას ვერ ვიტყვი, რომ ოცნებას ბაქრაძის მეორე ადგილი უნდა. მაგალითად, რესპუბლიკელებს უნდათ ბაქრაძის მეორე ადგილი. ოცნება არ არის ერთსახოვანი კოალიცია, იქ თუნდაც ამ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. თუმცა ის უკვე ნიშანდობლივია, რომ მმართველი ძალის რაღაც ნაწილი მონდომებულია, რომ ბაქრაძე იყოს მეორე ადგილზე. მეორე ნაწილი არ არის ამაზე მონდომებული, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ესეც აღინიშნოს. აქედან გამომდინარე, ეს სცენარი თუ რა იქნება, ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია. ერთი რამ ფაქტია, რომ მარგველაშვილი იქნება პირველ ადგილზე. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს. ახლა ეს პირველი ადგილი მას ეყოფა თუ არა პირველ ტურში გამარჯვებისთვის, ეს მეორე საკითხია. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სახელისუფლებო კანდიდატი ლიდერია და ამ ლიდერობას ინარჩუნებს. არის სხვადასხვა ვარიაციები, არის სხვადასხვა ვერსიები, მაგრამ რამდენად ახლოს იქნება ეს ვერსიები რეალობასთან, ამის თქმა მე ამ ეტაპზე ძალიან გამიჭირდება. დღეს ერთი რამ უნდა იყოს ჩვენი ამოცანა, ის რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა არ უნდა იყოს ავანსცენაზე. ბაქრაძის მეორე ადგილი მათ პოლიტიკურ ავანსცენაზე დარჩენაში, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს, მაგრამ ეს არ იქნება გადამწყვეტი.

***— მაშინ რა არის გადამწყვეტი?***

— გადამწყვეტი არის ის, თუ როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები, იქნება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ვინ იქნება მომავალი პრემიერ-მინისტრი და ადგილობრივ არჩევნებშიც რა პოზიციები იქნება პოლიტიკურ ძალთა შორის. დღევანდელი გადასახედიდან, თუკი ბატონი ბიძინა ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან და მიდის როგორც ჩანს, მე ოპტიმისტურ პროგნოზს ვერ ვხედავ, იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე დარჩენილი საქართველოს მთავრობა, მე არა მგონია, ნაციონალების არსებობისა და სიძლიერის პირობებში გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რომელი გამოწვევებიც ამ ახალ მინისტრთა კაბინეტს და ახალ პრემიერ-მინისტრს ექნება. მე, რა თქმა უნდა, არმინდა წინასწარ პესიმიზმში ჩავარდე, მაგრამ ყველანაირი ლოგიკა, ინფორმაციები და რეალობა ამას გვკარნახობს. შეიძლება დღეს ბევრ ხელისუფლებაში მყოფს ეწყინოს ამის თაობაზე, მაგრამ რეალობა ეს არის და რეალობას ჩვენ ვერსად ვერ გავექცევით. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებით გარკვეული ქაოსური პროცესების მომსწრეები და ვიქნებით პოლიტიკური კატაკლიზმების მომსწრეები. ახლა თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე დარჩენილი მთავრობა მოახერხებს ქვეყნის ისევე მართვას, როგორც იმართებოდა დღემდე, ის მწარედ ცდება და მისი მოსაზრებები რეალობას მოკლებულია. ამიტომ მე უფრო ველოდები არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პროცესებს, არამედ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ პროცესებს და სერიოზული შიშით და კრძალვით ვუყურებ ამ ყველაფერს. იმიტომ რომ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კატაკლიზმები მოხდეს და შესაძლოა ეს არ იყოს ერთჯერადი და წლის განმავლობაში რამდენიმეც კი ვიხილოთ.

***— ბევრი ფიქრობს, რომ ივანიშვილი მიდის, მაგრამ ის მაინც ჩაერევა პროცესებში და ყველაფერს გააკონტროლებს, რომ ის გარედან მართავს სიტუაციას და არ დაუშვებს ხელისუფლების რღვევას. ამაზე რას ფიქრობთ?***

— მე ვფიქრობ, რომ თუკი ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა და ის იქნება ე.წ. ჩრდილოვანი ქვეყნის მმართველი, ეს იქნება ივანიშვილის სერიოზული შეცდომა. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ შეცდომას არ დაუშვებს. მე არ მეგულება არც ერთი ნორმალური განვითარების მქონე ქვეყანა, რომელსაც ფარული მმართველი ყავდეს, რომელიც სადღაც ზის და როგორც მარიონეტს, ისე მართავს მთავრობას. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი ამას არ იზავს, რადგან ეს ქვეყნისთვისაც და თავად ივანიშვილისთვისაც საკმაოდ ცუდი იქნება. არა მგონია, ივანიშვილის ამოცანა ის იყოს, რომ როგორც დონმა ისე მართოს ქვეყანა. ქვეყანა უნდა მართოს არა ჩრდილოვანმა ხელისუფლებამ, არამედ რეალურმა ხელისუფლებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირ დემოკრატიას ვერ მივიღებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი თუ წავა პოლიტიკიდან, მართლაც წავა და ფარულად არ დაიწყებს პროცესების მართვას.

***— ისევ არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, მეორე ტურს გამორიცხავთ?***

— ამ საპრეზიდენტო არჩევნებში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

# ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციის მაიორი ლია პარკაული დააჯილდოვა



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიციის მაიორ ლია პარკაულს შეხვდა და მრავალწლიანი ერთგული სამსახურისთვის ცეცხლსასროლი იარაღი უსახსოვრა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფრომაციით, მაიორი ლია პარკაული 1987 წლიდან 2013 წლის 8 ოქტომბრამდე შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში მსახურობდა. ბოლო 9 წლის განმავლობაში, იგი საპატრულო პოლიციაში პატრულ-ინსპექტორად მუშაობდა. მან საქართველოს შს სამინისტროს უწყებიდან წასვლა ამერიკის შეერთებული შტატების სამართალდამცავ სფეროში საქმიანობის გაგრძელების მიზნით გადაწყვიტა.

შს მინისტრმა ლია პარკაულს მრ თავდადებული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

**მედიანიუსი**

# შსს-ს ორთაბრძოლების კლუბის წევრები რუსეთში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ



სანკტ-პეტერბურგმა შერეულ ორთაბრძლებში ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. პეტერბურგის ფრენბურთის აკადემიის დარბაზში გამართულ №1 ჩელენჯ-ის ტურნირში ქართველმა სპორტსმენმა ნოდარ კუდუხაშვილმა (84 კგ) ოქროს მედალი, ხოლო არჩილ თაზიაშვილმა (65 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

შერეული ორთაბრძოლების პირველ ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიოს 35 ქვეყნიდან ჩასული 100-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა. 84 კგ კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ქართველი და რუსი სპორტსმენები დაუპირისპირდნენ. სამრაუნდიან დაძაბულ ბრძოლაში ნოდარ კუდუხაშვილმა შამილ აბდულოვს(რუსეთი) სძლია.

რუსეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე ყველა ქართველი სპორტსმენი შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაფუძნებული „შსს-ს სპორტული ორთაბრძოლების კლუბის“ მებრძოლები არიან. სამომავლოდ საბრძოლო ხელოვნების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით კლუბის საწვრთნელი დარბაზის და ინფრსატრუქტურის განვითარება იგეგმება.

შერეული ორთაბრძოლებში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები სანქტ-პეტერბურგიდან თბილისში უკვე დაბრუნდნენ.

**ნიუსპრესი**

# ვინ შეუმსუბუქებს კომუნალურ დავალიანებებს თბილისელებს?

მერი ნამორაძე



**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას სთავაზობს. ჯგუფმა ამ კომპანიების მიმართ მოქალაქეთა ფინანსური დავალიანების შესახებ ორმხრივად სასურველ გადაწყვეტილებაზე უნდა იმუშაოს და ვალების რესტრუქტურიზაცია შესაძლებელი გახადოს. რამდენად სასურველი იქნება საკრებულოს მიერ მორგებული მედიატორის როლი კერძო კომპანიებსა და მოქალაქეებს შორის, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.**

ეს ინიციატივა გუშინ ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა გაბუნიამ გააჟღერა. მისი თქმით, თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გაზის, წყლის და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიმართ სოლიდური დავალიანება დაუგროვდა. თბილისში არის კორპუსები, სადაც 4 ათას ლარს აღწევს თითოეული ოჯახის დავალიანება გამანაწილებელი კომპანიების მიმართ.

— სამწუხაროდ, ამას აქვს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. დროის გასვლის პარალელურად აღნიშნული პრობლემა ღრმავდება და მწვავე ხდება მოსახლეობის და საზოგადოების წინაშე. მხოლოდ ჩემს სახელზე ამ თემასთან დაკავშირებით მოქალაქეთა ასობით განცხადებაა შემოსული, რომელიც ითხოვს პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, — განაცხადა გაბუნიამ, რომელმაც გამანაწილებელ კომპანიებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა შესთავაზა მოსახლეობისათვის დახმარების გზების მოსაძებნად.

გაბუნიას თქმით, ჯგუფმა ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომლითაც დაცული იქნება კომპანიების ლეგიტიმური ინტერესები. გაბუნია ირწმუნება, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა უკიდურესად აუცილებელია, რადგან დროის გასვლის პარალელურად პრობლემა ღრმავდება და აუცილებელია შემუშავდეს როგორც კერძო, ასევე მუნიციპალური და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკრეტული პოლიტიკა მოქალაქეთა დასახმარებლად.

გაბუნიას იმედი აქვს, რომ კომპანიები მის ინიციატივას გამოეხმაურებიან. ფრაქციის თავმჯდომარემ არ გამორიცხა სუბსიდიების გაცემაც, თუმცა ამ დეტალებზე კომპანიებთან საკითხის შეჯერების შემდეგ დაგვპირდა საუბარს:

— არ არის გამორიცხული, ჩვენ ვიფიქროთ სუბსიდიების შესაძლებლობაზეც, მაგრამ დეტალებზე არ ვისაუბრებ იმ უბრალო მიზეზის გამო, ჯერ უნდა შევთავაზოთ კომპანიებს, ჩვენ რას ვხედავთ გამოსავლად. ეს არის როგორც მოსახლეობის, ისე კომპანიების ინტერესი. მოსახლეობას აქვს ინტერესი, გაისტუმროს ვალი, კომპანიას აქვს ინტერესი, ამოიღოს კუთვნილი თანხა. ამიტომ მედიატორის ფუნქცია ჩვენი მხრიდან იქნება უზრუნველყოფილი და გვექნება კონკრეტული შეთავაზებებიც კომპანიებისათვის, — განაცხადა გაბუნიამ.

გაბუნიამ აღნიშნა, რომ არაფორმალური საუბრებით კომპანიებისათვის ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივა მისაღებია. ფრაქცია უკვე ოფიციალურ გამოხმაურებას ელოდება კომპანიების მხრიდან.

რაც შეეხება სუბსიდიების მოძიებას, გაბუნია არ აკონკრეტებს, რომ ეს მაინცდამაინც თბილისის ბიუჯეტზე იქნება დამოკიდებული: — განვიხილავთ სუბსიდიების ნაწილსაც. რატომაც არა?! თუკი მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერაზე ვლაპარაკობთ, ეს არის ნამდვილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა, რომელიც ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს, — აღნიშნა ფრაქციის თავმჯდომარემ.

# რა ცვლილებებია განათლების სფეროში

მერი ნამორაძე



**გუშინ განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ჟურნალისტებს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები გააცნო და მიმდინარე ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება.**

როგორც სანიკიძემ განაცხადა, შემუშავდა არაერთი პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის პერიოდში დაიგეგმა და რეალურად განხორციელდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში და ეტაპობრივად ახლაც ხორციელდება. მინისტრმა გამოყო უფასო სახელმძღვანელოების პროექტი, რომელიც ძალიან წარმატებულად განხორციელდა:

— წელს ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იყო უფასო სახელმძღვანელოებით, ასევე დაკმაყოფილებული იყო გარკვეული კონტინგენტი კერძო სკოლებშიც. ეს შეეხებოდა სოციალურად დაუცველებს, ომში დაღუპულთა შვილებს და იმ სკოლის მოსწავლეებს, რომელიც იყო გასხვისებული და შენარჩუნებული იყო უფასო სექტორი, — აღნიშნა მინისტრმა. მან ისაუბრა ასევე სასკოლო ავტობუსების პროექტზეც, რომლის ფარგლებშიც 45 ათასზე მეტ მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცა უსაფრთხოდ გადაადგილდეს საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, მინისტრის თქმით, არის ის, რომ ამ პროექტის ხარჯზე აღდგა სასწავლო პროცესი რეგიონებსა და სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში, სადაც ზამთრის პირობებში სწავლის პროცესი შეფერხებული იყო.

გარდა ამისა, დაიგეგმა სტუდენტთათვის უფასო სწავლება უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე. ეს არის 17 ახალი ფაკულტეტი, რომელიც სრულიად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში წელს 2500-მდე სტუდენტმა მიიღო სრული დაფინანსება.

# საკრებულო თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვას ითხოვს

მერი ნამორაძე

**თბილისის საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, მამუკა კაციტაძე, ახალ ხელისუფლებაზე განაწყენებულია. გულისწყრომა თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის კულუარულ განხილვას მოჰყვა. როგორც კაციტაძე აცხადებს, უკვე რამდენიმე თვეა, რაც აღნიშნული კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს საკრებულოსთან კონსულტაციების გარეშე.**



გუშინ საკრებულოში ამ კომისიამ პირველად გამართა ღია სხდომა, რომელზედაც კაციტაძემ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიწვია, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს სპექტრი აქამდეც უნდა ყოფილიყო ჩართული თვითმმართველობის რეფორმირების პროცესში. მომავალ კვირას კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გეგმავს საკითხის განხილვას. ფართო პოლიტიკურ სპექტრთან განიხილეს როგორც საკრებულოსა და აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის არსებული ურთიერთობები, ასევე თვითმმართველურ ქალაქებსა და დედაქალაქებში არსებულ საერთაშორისო გამოცდილება.

ჯერ კიდევ 19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ შესაბამისი განკარგულებით მოიწონა თვითმმართველობის სტრატეგიული რეფორმის კონცეფცია და აღმასრულებელი სტრუქტურების მისამართით შესაბამისი დავალებებიც გასცა. ამასთან, აღნიშნული კონცეფცია განხილული და შეჯერებული უნდა ყოფილიყო საქართველოში თვითმმართველობის ორგანოებსა და დედაქალაქის საკრებულოსთან.

კაციტაძე აცხადებს, რომ ამ ხნის განმავლობაში არანაირი აქტივობა, არანაირი შეხვედრა, არანაირი კონსულტაცია და მით უმეტეს, შეჯერება შესაბამისი სამსახურების მხრიდან არ განხორციელებულა. ეს მაშინ, როცა ევროპული ქარტიის თვითმმართველობის მეხუთე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ყველა ტიპის გლობალური თუ ლოკალური ხასიათის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, თვითმმართველობასთან უნდა იყოს შეთანხმებული და შეჯერებული.

მიმდინარე კვირაში, მთავრობის სხდომაზე კანონპროექტის სახეს ის კონცეფცია მიიღებს, რომელიც ჯერ კიდევ თებერვლის თვეში ანუ რვა თვის წინ გაჟღერდა და საკრებულოს შესაბამის კომისიას მის ფორმირებაში მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, თბილისის საკრებულოს თვითმმართველობის რეფორმების კომისიამ აღნიშნული კონცეფციის განხილვის დამოუკიდებელი პროცესი თავად დაიწყო.

— ვიმსჯელებთ, რა გვაქვს დღეს, რას შემოგვთავაზებს ახალი ხელისუფლება და როგორი იქნება დამოკიდებულება, რადგან თვითმმართველობა არ გახლავთ მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის გადასაწყვეტი საკითხი. ამას სჭირდება მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი, ისევე, როგორც კონსტიტუციას. ასეთმა განხილვებმა უნდა მისცეს დასაბამი ნორმალურ, შეჯერებულ დოკუმენტს, რომელზედაც შემდეგ საშინაო პოლიტიკა აეწყობა და თვითმმართველობა, — აღნიშნა კაციტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

კაციტაძის ბრალდებას არ იზიარებენ საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციების წარმომადგენლები. ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვა დასკვნით ეტაპზეა და მას შემდეგ, რაც კანონპროექტი საბოლოო სახეს მიიღებს, მასთან დაკავშირებით ყველა უწყებასა და საზოგადოებას სრული ინფორმაცია ექნება. ამასთან, ეს იქნება საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმების განსახორციელებლად საკანონმდებლო ბაზის შექმნის საწინდარი.

ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ განაცხადა, რომ თვითმმართველობის რეფორმა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ამაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებში, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში:

**გულიკო ზუმბაძე:**

— მომავალ კვირას რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აპირებს თბილისის საკრებულოში წარმოადგინოს თვითმმართველობის პროექტი, რომელზეც ფართო საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იმსჯელოს. დარწმუნებული ვარ, ეს რეფორმა წარმატებულად ჩატარდება და საზოგადოება მიიღებს ისეთ თვითმმართველობას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას. რაც შეეხება პროექტის მიმდინარეობას, ეს არ არის მარტივი, რადგან ამაში ერთვებიან არაკომპეტენტური ადამიანებიც, განხილვის პროცესი ხდება გრძელვადიანი. ეს არის პროცესუალური დემოკრატია, ეს არის ბუნებრივი და ვფიქრობ, საზოგადოება იმ დროს და იმ სახით მიიღებს პროექტს, როგორიც საზოგადოებას უნდა. ეს აუცილებლად ჩაჯდება დროსა და ვადებში, ადგილობრივი არჩევნებისათვის მოესწრება ყველაფერი. არ იქნება ისე, როგორც ნაციონალური მოძრაობის პირობებში, როცა ერთი თვით ადრე ვგებულობდით ხოლმე იმ რეფორმის შესახებ, რომელსაც ხელისუფლება მოულოდნელად აცხადებდა საზოგადოების წინაშე, — აღნიშნა ზუმბაძემ.

**მამუკა ახვლედიანი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — ძველი თბილისის თავმჯდომარე:**

— ძალიან მნიშვნელოვანია ინიციატივა, რომელიც თვითმმართველობის რეფორმების კომისიამ წამოსწია. მაშინ, როცა სატელევიზიო ეთერით ვიგებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში ცვლილებები მზადდება, რომ კანონპროექტი მზად არის და მომავალ კვირაში განიხილავს პარლამენტი და დაჩქარებული წესით უნდა შევიდეს მთელი რიგი ცვლილებები ორგანულ კანონში, თბილისი გახლავთ თვითმმართველი ერთეული, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 30%-ს შეადგენს ანუ ყველაზე დიდი თვითმმართველი ერთეულია და ამის შესახებ არათუ მსჯელობა, არანაირი ინფორმაცია არ გვქონია ჩვენ, საკრებულოს დეპუტატებს. ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთავრობამ აიღო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების საკითხების განხილვაში. ჩვენ კი, ხაზს ვუსვამ, ინფორმირებულნიც არ ვართ. თუმცაღა, დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანია, როცა მონაწილეობას იღებს ფართო პოლიტიკური სპექტრი როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ისე უმცირესობაში მყოფი პარტიის წარმომადგენლები, ასევე არასაპარლამენტო პარტიები. ჩვენ წინადადებებსა და შენიშვნებს წარვადგენთ, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა ქვეყანაში განხორციელდეს წარმატებულად.

**ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატიული პარტია:**

— რაც აქამდე მოსმენილი გვაქვს, საუბარია რეგიონებში თვითმმართველობის რეფორმირებაზე. საუბარი იყო ორასზე მეტი თვითმმართველობის, ორდონიანი თვითმმართველობის შესახებ და ასე შემდეგ და ეს არის თუ არა ძალაში, არ ვიცით. თბილისთან დაკავშირებით ხელისუფლების არანაირი მოსაზრება მოსმენილი არ გვაქვს. უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ დარჩენილ დროში რეალურად ჩვენ არათუ თვითმმართველობის რეფორმას, ანუ მუნიციპალიტეტების შეცვლას, გადალაგებას, არამედ არსებულ მუნიციპალიტეტებში საარჩევნო სისტემასაც კი ვერ შევცვლით და იქნება ის, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა თავის დროზე, არავის მოგვწონდა და ვაკრიტიკებდით. ამიტომ, თუ არსებული ხელისუფლება იმ გზით მიდის, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა იყენებდა — რომ ვართ ცაიტნოტში, ველარაფერს ვასწრებთ და იგივე უნდა დარჩეს, ეს არის ძალიან ცუდი. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, ნუ მოირგებს იმ საარჩევნო სისტემას, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა სათავისოდ, იმისათვის, რომ ის 90 პროცენტიანი უმრავლესობები მიიღოს, რაც თავის დროზე თვითმმართველობებში ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა.

# ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ჟიური საქმის მოსმენას იწყებს

*24 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველი საქმის განხილვას დაიწყებს. მართალია, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის ეს პირველი საქმეა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ უნდა განიხილოს, საერთო ჯამში კი, სასამართლოს უახლეს ისტორიაში ბრალდებულ ბესიკ ბ-ს საქმე მეექვსე საქმეა, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს.*



ბესიკ ბ-ს ბრალად ედება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში. კერძოდ, ბრალდებულმა თერჯოლაში ურთიერთშელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით, დანის გამოყენებით განიზრახა ორი პირის რეზო ნიშნიაძის და გიორგი გარმელიას მოკვლა, რა მიზნითაც მათ მიაყენა სხეულის სხვადასხვა მიდამოებში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, რის შედეგადაც, რეზო ნიშნიაძე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი გარმელია სიკვდილს გადაურჩა ბესიკ ბ-გან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით შეირჩა 12 ნაფიცი მსაჯული და ორი სათადარიგო მსაჯული, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან საქმის არსებით განხილვაში და გამოიტანენ გამამართლებელ ან გამამტყუნებელ ვერდიქტს.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა.

საერთო სასამართლოების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლიდან ამოქმედდა. მისი მიზანია მოქალაქეების პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12 მსაჯულისა და 2-3 სათადარიგო მსაჯულისაგან შედგება, რომელთა შერჩევაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდება.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა. სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.

ნაფიც მსაჯულთა განსჯადი პირველი სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 9 ნოემბერს დაიწყო. საქმე ეხებოდა 1994 წელს მინასიანების ოჯახზე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და ჯგუფური ყაჩაღობის ჩადენის ფაქტს. აღნიშნულ საქმეზე, თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა მიიღო გამამტყუნებელი ვერდიქტი და ბრალდებული **რევაზ დემეტრაშვილი** დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში. გადაწყვეტილება მიღებული იქნა ათი ხმით ორის წინააღმდეგ. მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიცი მსაჯულები აგრეთვე ესწრებოდნენ სასჯელის დანიშვნის სხდომას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა. აღნიშნულ სხდომაზე ნაფიცმა მსაჯულებმა სასამართლოს ერთხმად მისცეს სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისა და სასჯელთან მიმართებაში მათი რეკომენდაციის საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილის მიმართ წარდგენილ ყველა ბრალდებაში და მას საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 6 სასამართლო სხდომა, დაიკითხა ბრალდებული და 13 მოწმე, ასევე მხარეთა მიერ გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები, მათ შორის მოწმეთა დაკითხვის ოქმები.

ნაფიც მსაჯულთა მეორე სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 14 დეკემბერს დასრულდა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღო და ბრალდებულები **რომეო სარქისოვი, ლევან კიკაბიძე და ვახტანგ ბეჟანიშვილი** დამნაშავედ სცნო 2004 წლის 7 სექტემბერს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ნოდარ მატიაშვილის განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი დამამძიმებელი გარემოებებში, ჯგუფურად, შეკვეთით და წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ. გამამტყუნებელი ვერდიქტი ბრალდებულების რომეო სარქისოვის და ვახტანგ ბეჟანიშვილის მიმართ მიღებული იქნა ერთხმად, ხოლო ბრალდებულ ლევან კიკაბიძის მიმართ გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებული იქნა 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 6 სასამართლო სხდომა, დაიკითხა 23 მოწმე და ბრალდებულები, ასევე მხარეთა მიერ გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაში ნაფიცი მსაჯულებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც სასამართლოს ერთხმად მისცეს სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაცია.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისა და სასჯელთან მიმართებაში მათი რეკომენდაციის საფუძველზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულების მიმართ წარდგენილ ყველა ბრალდებაში და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად ლევან კიკაბიძეს 22 წელი და 13 დღე, რომეო სარქისოვს 17 წელი და ვახტანგ ბეჟანიშვილს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მესამე სისხლის სამართლის საქმის განხილვა 2012 წლის 14 ივნისს დასრულდა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა ბრალდებული **დავით რუსიშვილი** დამნაშავედ სცნო 2011 წლის 17 ოქტომბერს ზურაბ ტარყაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში. აღნიშნულ ბრალდებაზე ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა 9 ხმით, 3-ის წინააღმდეგ. ნაფიცმა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს ბრალდებულ დავით რუსიშვილის მიმართ საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვის ბრალდებაში.

საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 8 სასამართლო სხდომა, თავად ბრალდებულმა მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლება გამოიყენა. საქმის არსებითი განხილვისას, ღია სასამართლო სხდომაზე, დაიკითხა 20 მოწმე, ასევე მხარეთა მიერ გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, მათ შორის შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და მკვლელობის ჩასადენად გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი.

მხარეების თანხმობით ნაფიცმა მსაჯულებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელის დანიშვნის სხდომაში და სასამართლოს სასჯელის დამძიმების რეკომენდაციით მიმართეს. სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისა და სასჯელთან მიმართებაში მათი რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და დავით რუსიშვილს საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 21 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

2013 წლის 31 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ნაფიც მსაჯულთა განსჯადი მეოთხე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა, ბრალდებულ **ვაჟა ახალკაციშვილის** მიმართ. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა წარდგენილი ოთხი ბრალდებიდან, სამ მათგანზე, კერძოდ - ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, განზრახ მკვლელობა ციალა ნ.-ს მიმართ და განზრახ მკვლელობის მცდელობა 2 პირის მიმართ - გამამართლებელი ვერდიქტი მიიღო, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ვაჟა ახალკაციშვილი დამნაშავედ სცნო.

დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ნაფიცმა მსაჯულებმა ასევე კენჭი უყარეს და ბრალდებული ვაჟა ახალკაციშვილი დამნაშავედ მიიჩნიეს განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 8 სასამართლო სხდომა. ბრალდებული ნაწილობრივ ცნობდა თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში - იგი ფაქტობრივად აღიარებდა მის მიერ დანაშაულის ჩადენას, მაგრამ არ ეთანხმებოდა წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციას.

საქმის არსებითი განხილვისას, ღია სასამართლო სხდომაზე, დაიკითხა 22 მოწმე. ასევე, მხარეთა მიერ გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, მათ შორის, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მკვლელობისას გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულებს მონაწილეობა არ მიუღიათ სასჯელის დანიშვნის სხდომაში. სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გათვალისწინებით, ვაჟა ახალკაციშვილს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპით, სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის და ექვსი თვის ვადით.

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, მეხუთე სისხლის სამართლის საქმის განხილვა 2013 წლის 6 სექტემბერს დასრულდა. ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღეს და ბრალდებულები **ვახტანგ ჩხაპელია, გელა უბილავა და კობა ყურუა** დამნაშავედ სცნეს ანტონ ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში. ხოლო,ნაფიცმა მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს ბრალდებულ გელა უბილავას მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარების ბრალდებაში, ხოლო კობა ყურუას მიმართ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრების მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის ბრალდებებზე.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების - ვლადიმერ და რამაზ ქარჩავების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები გამოყოფილ იქნა ცალკე წარმოებად და განხილულ იქნა არსებითად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე.

ნაფიცმა მსაჯულებმა სრულად გამოიყენეს ვერდიქტზე მსჯელობისათვის კანონით მინიჭებული პირველადი 3, შემდგომ 6 და კიდევ 3 საათი, სულ 12 საათი. ნაფიც მსაჯულთა თათბირი საიდუმლოა და იგი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. რადგან აღნიშნულ უწყვეტ 12 საათში ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს ვერდიქტის მიღება, სასამართლომ მათ მართლმსაჯულების განსახორციელებლად დამატებით გონივრული დრო განუსაზღვრა. ღამის საათების გათვალისწინებით სასამართლომ გონივრულ ვადად 1 საათი მიიჩნია.

აღნიშნულ ბრალდებაზე გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულ იქნა 8 ხმით, 4-ის წინააღმდეგ. საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარდა 10 სასამართლო სხდომა და დაიკითხა ბრალდების 19 , ხოლო დაცვის 5 მოწმე. გამოკვლეულ იქნა წერილობითი ხასიათის მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები და გარე-ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, ასევე შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ამსახველი ნუსხა.

მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულებს მონაწილეობა არ მიუღიათ სასჯელის დანიშვნის სხდომაში.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე, ვახტანგ ჩხაპელიას, გელა უბილავას და კობა ყურუას ანტონ ადუაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის თითოეულს 20-20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამ დროისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სულ 5 სისხლის სამართლის საქმე იქნა განხილული.

## პროექტის „ჟურნალისტები გენდერული თანასწორობისათვის" პრეზენტაცია

გუდაურში არასამთავრობო ორგანიზაციის "ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" წარმომადგენლები დაესწრნენ ტრენინგს "მედიის როლი ქალის პოლიტიკურად გაძლიერებაში". ტრენინგი ჩატარდა USAID-ისა და IFES-ის მხარდაჭერით. ტრენინგის მიზანი იყო ჟურნალისტთა ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკურად გაძლიერების მექანიზმების შესახებ. მოწვეულმა ექსპერტებმა ირინა ჟვანიამ და რუსუდან რუხაძემ ჟურნალისტებთან ერთად განიხილეს ისეთი საკითხები როგორიცაა: გენდერული სტერეოტიპები მედიაში და




მათი გავლენა საზოგადოებაზე; გენდერული საკითხების ფართოდ გაშუქების უზრუნველყოფის მექანიზმები და საშუალებები; მედიის როლი გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში და სხვ. სემინარზე სპეციალური სესია დაეთმო არასამთავრობო ორგანიზაციის "ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის" წარმომადგენლებს, რომლებმაც ტრენინგის მონაწილეებისთვის გააკეთეს პროექტის "ჟურნალისტები გენდერული თანასწორობისთვის" პრეზენტაცია და ისაუბრეს პროექტის მიზნებზე, ამოცანებსა და აქტივობებზე. პროექტი "ჟურნალისტები გენდერული თანასწორობისთვის" , აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES)-ს მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკურად გააქტიურების შესახებ; ქალი პოლიტიკოსების მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური განწყობების და შეხედულებების შეცვლას, ასევე ამომრჩეველ და კანდიდატ ქალთა მოტივაციის გაზრდას და პოლიტიკურად გააქტიურებას.

# გიორგი ლალიძე: „ვადამდელ არჩევნებს ნუ ელოდებით“

შორენა გონგლაძე



### ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

***— ნაციონალური მოძრაობა დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში, როგორ ფიქრობთ, რა აძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს/? ბაქრაძეს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს პოლიტიკური გამოცდილებით ბურჯანაძის და ძლიერი პოლიტიკური მხარდამჭერებით მარგველაშვილის სახით.***

— პირველ რიგში გეთანხმებით იმაში, რომ ნაციონალურ მოძრაობას საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს, თუმცა ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს არჩევნები ნამდვილად დემოკრატიულად ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ღირსეულ კონკურენციას გაუწევს სახელისუფლებო კანდიდატს. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ის, რომ ნაციონალებმა შეძლეს საკუთარი თავის რეაბილიტაცია, ოცნების რეიტინგი კი დღითიდღე ეცემა. ამას ემატება ისიც, რომ პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან მიდის. ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა საკმაოდ არათანმიმდევრული პოლიტიკა, რამაც გამოიწვია ხალხში იმედგაცრუება და მათი რეიტინგის ვარდნა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წინ საკმაოდ საინტერესო და რთული არჩევნები გველოდება. ასევე აღსანიშნავია ის, რომ ოცნებამ საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა ისეთი ადამიანი, რომელსაც საზოგადოებაში არანაირი რეიტინგი არ გააჩნია. გაოცებული ვარ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოქმედებით, ასეთი რამ ალბათ მხოლოდ ქართველ კაცს შეიძლება მოუვიდეს თავში. როგორც დემოკრატიულ ქვეყნებში ხდება, პრეზიდენტად ირჩევენ ადამიანს, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე ანდა დიდი ხანია მოღვაწეობს პოლიტიკაში და ერი მისი ნამოღვაწარიდან აკეთებს შეფასებას მისი არჩევისას. მარგველაშვილის შემთხვევაში კი ივანიშვილმა გადახვია ხელი მარგველაშვილს და გვითხრა, რომ კარგი ბიჭია და მხარი დაუჭირეთო. მაშინ, როდესაც, მარგველაშვილის კაი ბიჭობის შესახებ საზოგადოებისთვის ბევრი არაფერია ცნობილი. ჩემთვის გაურკვეველია, პრემიერს საზოგადოება ჩლუნგად მიაჩნია, ქვეყანა თავის შპს ჰგონია თუ მას უბრალოდ ასე სურს, რომ ხალხმა მარგველაშვილს მისცეს ხმა. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ტური გარდაუვალია. დარწმუნებით შემიძლია ასევე იმის თქმა, რომ ეს არჩევნები ვერ დადებს რეალურ შედეგს. მე აქედანვე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება. მე ამას დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ გამორიცხულია „ქართულმა ოცნებამ“ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვას. მართალია პრეზიდენტის ინსტიტუტი არც ისე ძლიერი იქნება, მაგრამ მმართველი გუნდი ქვეყნის მართვის სადავეების საბოლოოდ ხელში ჩაგდების შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს. ხელისუფლება რომ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და დიდი მტკიცებულებები არც სჭირდება.

***— ნაციონალებისა და ოცნების კანდიდატებს ნინო ბურჯანაძის სახით საკმაოდ ძლიერი კონკურენტი ჰყავს, რაც ასევე გასათვალისწინებელია..***

— მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბურჯანაძე საკმაოდ კარგ პიარკამპანის ეწევა წინასაარჩევნოდ, მე ვფიქრობ, რომ ის გავა მესამე ადგილზე. ბურჯანაძეს არ ექნება მეორე ტურში ბრძოლის შანსი. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, შემიძლია ახლავე გითხრათ, რომ ისინი პირველივე ტურში გამოეთიშებიან საარჩევნო მარათონს.

***— არჩევნების შემდეგ კიდევ ერთი სიახლე გველოდება, ეს არის ახალი პრემიერ-მინისტრი, რომლის ვინაობასაც ივანიშვილი ასე ასაიდუმლოებს..***

— მიმაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საეჭვოდ დუმს პრემიერი და აღმასრულებელი ხელისუფლება. მაშინ როდესაც, მთელი ძალაუფლება თითქმის პრემიერის ხელშია თავმოყრილი, საზოგადოებას აქვს იმის უფლება იცოდეს, ვინ იქნება ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ვფიქრობ, აქაც საკმაოდ ბუნდოვანი ვითარებაა და არ არის გამორიცხული, ახალი პრემიერის შემდგომ ჩვენ ქვეყანაში მივიღოთ სულ სხვა რეალობა, რაც იგულისხმება იმაში, რომ შესაძლოა მინისტრთა კაბინეტი აღარ იყოს ამ შემადგენლობით, რაც დღეს არის, რასაც შესაბამისად მოყვება კოალიციის დაშლა.

***— კოალიციის დაშლასთან ერთად საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ალბათობაც იზრდება..***

— ვფიქრობ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება, ვინაიდან პარლამენტი საკუთარ თავს არ დაითხოვს, ხოლო მომავალი პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციით, პარლამენტის დათხოვნის შანსები მინიმუმამდე არის დაყვანილი. აქედან გამომდინარე, კრიზისის შექმნის საფუძველიც არ არსებობს.

## გიორგი თარგამაძე: „მე ვერაფერი შემცვლის“

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი თარგამაძის განცხადებით, დღეს საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მონარქიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ამის შესახებ თარგამაძემ პარტიის თბილისის ორგანიზაციის პრეზენტაციაზე განაცხადა.

„იგი მიიჩნევს, რომ ყველა მისი პოლიტიკური ოპონენტი, ოპოზიცია, არიან მოღალატეები და ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები, პოლიტიკური პარტიები, ქართული საექსპერტო და არასამთავრობო საზოგადოება არაკომპეტენტურები და ბრიყვები, დამოუკიდებელი ქართული მედია, რომელიც ბედავს და აკრიტიკებს ხელისუფლებას, მიკერძოებული და სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ნოსტალგიით გამსჭვალული, ყველა ცუდია და მხოლოდ ის, ერთადერთი არის თეთრი, ქათქათა, ფუმფულა, შეუმცდარი და შეუცდენელი. პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ“, — განაცხადა თარგამაძემ.

თარგამაძის თქმით, მას ვერაფერი შეცვლის.

„მე ვერაფერი შემცვლის. ვერც ივანიშვილის დაშინება და მუქარა. ყველას სამაგიერო მიეგება, წყალი მიდგება და მოდგება და საგუბარში ჩადგება. მოგვიწევს ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისკენ. ქვეყანას სჭირდება შიდა სტაბილურობა, ჩვენ გვჭირდება საზოგადოების კონსოლიდირება ტერიტორიული მთლიანობისა და უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად“, — აღნიშნა თარგამაძემ.

მედიანიუსი


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


*სპორტი*

## არგასული გოლით მოგებული მატჩი

ბუნდესლიგის მე-9 ტურის გახსნით შეხვედრაში მოხდა ისეთი რამ, რაც დღევანდელ ფეხბურთში ძალიან იშვიათია. მეტიც, მსგავსი შემთხვევა უახლოეს პერიოდში არც გვახსოვს და დიდი შანსია, კიდევ დიდხანს იყოს ეს მომენტი ერთადერთი შემთხვევა.

მოკლედ: „ჰოფენჰაიმისა“ და „ლევერკუზენის“ შეხვედრაში, რომელიც „ფარმაცევტებმა“ 2:1 მოიგეს, გამარჯვების გოლი შტეფან კისლინგმა „გაიტანა“ — დიახ, ბრჭყალებში, იმიტომ რომ მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი კარს ასცდა!

საქმე ის არის, რომ კარის ბადე გარღვეული აღმოჩნდა და ბურთი კარში გარედან შევარდა, რასაც თავად კისლინგიც გვიან მიხვდა და შეეცადა, არ შეემჩნია გაკვირვება, როცა მასთან თანაგუნდელები გოლის მისალოცად მისცვივდნენ.

ყველაზე საინტერესო კიდევ, იცით, რა არის? თავად „ჰოფენჰაიმის“ ფეხბურთელებიც კი ვერ მიხვდნენ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, შედეგი კი სახეზეა — 1:2!

ასეთი ფაქტი ბუნდესლიგას 1994 წელს ახსოვს: მაშინ თომას ჰელმერის არჩასათვლელი გოლის გამო „ბაიერნისა“ და „ნიურნბერგის“ მატჩი გაიმეორეს და იმხანად ფიფამ გერმანიის საფეხბურთო ლიგას სანქციები დააკისრა.

ჰოფენჰაიმელები გადათამაშებას კატეგორიულად მოითხოვენ — „სოფლელების“ მწვრთნელი ამბობს, ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება ყველა დროის ყველაზე სასაცილო საფეხბურთო ანეგდოტი იქნებაო და მას ამაში ბევრი ეთანხმება.


**მკურნალობა ბუნებრივი მცენარეებით**

**ქალბატონ ეთერს ყველა იცნობს, როგორც შესანიშნავ მკურნალს საქართველოში.**

**მქონდა ლიმფური ჯირკვლები და კუჭის წყლული. ეთერის წამალმა ძალიან დიდი შედეგი მომცა. იგი მკურნალობს ბევრ დაავადებას, როგორიცაა: პროსტატა, ჩიყვი, ფილტვების დაავადებები, მასტოპათია, ნაღვლის ბუშტის ანთება და სხვა. აქვს ძვირფასი მალამო, რომელიც შველის ბუასილს, დამწვრობას, ნაწოლებსა და ჭრილობებს. ვისაც გსურთ, დაუკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე: მობ.: 599-96-44-63; 269-17-37 ეთერ კიკვილაშვილი.**



## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# სტუმ პირველი მატჩი მოიგო

**სტუ – სფუ 90:71**

(32:22, 17:14, 16:20, 25:15)

თბილისი. სპორტკომპლექსი არენა

**სტუ**: გოგოძე (11ქ), გურაბანიძე (2ქ), დიდია (18ქ), ანთაძე (13ქ), მათიაშვილი (12ქ,17მ); გრძელიძე (4ქ), ქორიძე, ცირეკიძე (3ქ), ლომინაშვილი (7ქ,11მ), ლომიძე, ალხანაიძე (13ქ,9მ), დეკანოიძე (7ქ)

**სფუ**: კოტოვი (2ქ), სკაპენკო (15ქ,15მ), სოლდატოვი (9ქ), კარპენკო (34ქ), მიქნალევი, ლევადა (7ქ), ტერეხოვი, ბიკოვი (4ქ)

საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში მოასპარეზე საქართველოს წარმომადგენელმა სტუ-მ მეორე შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად ქართველმა სტუდენტებმა რუსეთის ქალაქ როსტოვის სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტის გუნდს უმასპინძლეს და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს.

სტუ-მ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და პირველი ათწუთეული 10 ქულით მოიგო, შემდეგ ეს უპირატესობა თანდათან გაზარდა და ნიკოლოზ დერიუგინის გაწვრთნილმა გუნდმა საბოლოოდ 90:71 იმარჯვა.

მატჩში ყველაზე მეტი, 34 ქულა სტუმართა გუნდის წარმომადგენელმა ვლადისლავ კარპენკომ დააგროვა. 15 ქულითა და ამდენივე მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა კარპენკოს თანაგუნდელი ილია სკაპენკო.

მასპინძელთა შორის თავი რეზო დიდიამ გამოიჩინა, რომელმაც 18 ქულა მიითვალა. 12 ქულითა და 17 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა რიჩარდ მათიაშვილი.

სტუ მორიგ შეხვედრას 27 ოქტომბერს უკრაინის ქალაქ ხარკოვში ჩაატარებს, სადაც ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდს შეხვდება. თუ ეს მატჩი ჩვენთვის მესამე იქნება, ხარკოველებს ჯერ არ უთამაშიათ და ამიტომ მათ შესახებ ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით.

# 19-წლამდელები პორტუგალიაში გაემგზავრნენ

26 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით ლისაბონში ფირა აერის ეგიდით იმართება 2013 ევროპის ჩემპიონატი 19 წლამდე მორაგბეთა ნაკრებებს შორის. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის გამარჯვებული ნაკრები 2014 წლის აპრილში ჰონგ კონგში გასამართ 20 წლამდელთა მსოფლიო ალაფაზე იასპარეზებს.

ლისაბონურ ტურნირში მონაწილეობას საქართველოს, მასპინძელი პორტუგალიის, ბელგიის, ესპანეთის, რუმინეთის, რუსეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის 19-წლამდელთა გუნდები მიიღებენ.

განთესვის მიხედვით, ჭაბუკი „ბორჯღალოსნები“ პირველ შეხვედრას 27 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 15:00 საათზე, ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი, 30 ოქტომბერს 17:00 საათზე, ნახევარფინალში ესპანეთისა და რუმინეთის წყვილში გამარჯვებულს შეერკინება, ხოლო ფინალი 2 ნოემბერს 17:00 საათზე გახლავთ დაგეგმილი.

პორტუგალიის რაგბის კავშირს დაგეგმილი აქვს მატჩების სტრიმის მეშვეობით ტრანსლირება. როგორც იტყობინებიან, ამ ეტაპისთვის ისინი არკვევენ ამ საკითხს ადგილობრივ პროვაიდერებთან და, მოლაპარაკების შემთხვევაში, მატჩების სტრიმის ბმული დაიდება საქართველოს რაგბის კავშირის ვებგვერდზე.

**დავით ვართანიანი, 19-წლამდე ნაკრების მწვრთნელი:**

– წინასატურნირო შეკრებამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. ჩვენ ორი სპარინგი გავმართეთ და თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭების მომზადებით კმაყოფილი ვარ. მინდა აღვნიშნო, რომ ნაკრები საკმაოდ ინტენსიურად ვარჯიშობდა და ემზადებოდა მომავალი ევროპის ჩემპიონატისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა განვაცხადო, რომ ლისაბონში ტურნირის მოსაგებად მივემგზავრებით.

**19-წლამდელთა 26-კაციანი რაზმი**

**შერკინება:** ზაზა ხარებავა (არმია), დავით ფხაკაძე, გიორგი მარგველანი, ბესიკ ბარბაქაძე, ნიკა გიგაური, (ყველა არმაზი), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი), გიორგი ტორაძე, ბადრი დანგაძე (ორივე აია), ბადრი ალხაზაშვილი, საბა შუბითიძე (ორივე აკადემია), როლანდ კვაჭაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი (ორივე ლელო), დავით პაპავაძე (ჯიქები), ჟორა მღებრიშვილი (ხარები);

**შუა ხაზი**: თემურ თუთბერიძე, რეზი ჯინჭველაშვილი (ორივე აია), რევაზ ბროძელი (არმაზი),

**უკანა ხაზი**: გიორგი ნათელაშვილი, დავით გულიტაშვილი (ორივე ხარები), გიორგი ტალახაძე (ხულიგანა), თემურ ირემაძე (აია), ანზორ სიჭინავა (აკადემია), ბადრი ლიპარტელიანი (არმაზი), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), გიორგი აფციაური (არმია), ირაკლი სვანიძე (ჯიქები).

# რუსები სოჭში გველოდებიან

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა სოჭის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო ჯგუფისგან სპეციალური წერილი მიიღო. რუსული მხარე გენერალური მდივნისთვის, ემზარ ზენაიშვილისთვის გამოგზავნილ წერილში განმარტებას აკეთებს ე.წ. სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის მედიის სააკრედიტაციო ფორმაში შეტანასთან დაკავშირებით.

წერილს ხელს აწერს სოჭი 2014 საორგანიზაციო კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი დენის სეკაჩოვი.

**ბატონ ემზარ ზენაიშვილს**
**საქართველოს ეოკ-ის გენერალურ მდივანს**

ა.წ. 9 ოქტომბერს დსთ-ის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს რეგიონულ ფორუმზე საქართველოს ეოკ-ის მიერ გამოთქმული შეშფოთებისა და ასევე 2013 წლის 10 ოქტომბერს სეოკ-ის პირველი ვიცეპრეზიდენტის, ბატონი ელგუჯა ბერიშვილისგან მიღებული ელექტრო ფოსტის საპასუხოდ გვსურს მოგახსენოთ:

– სოჭი 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს მხოლოდ სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-ებთან და ორგანიზაციებთან;

– თამაშების საკრედიტაციო სისტემაში შეტანილია ქვეყნების ორი სია:

– პირველი -მოიცავს სოკ-ის მიერ აღიარებულ ეოკ-ებს

– მეორე სიაში კი შეტანილია აპლიკანტების ქვეყნების კოდები, რათა აღინიშნოს აპლიკანტების მოქალაქეობა, დაბადების ქვეყანა და ასევე მათი საცხოვრებელი ადგილი. ქვეყნები აღნიშნულ სიაში შეტანილია მსოფლიო ქვეყნების რუსეთის კლასიფიკაციის საფუძველზე.

ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე არავინ იქნება აკრედიტებული აფხაზეთის ან სამხრეთი ოსეთის სახელით, რამდენადაც, როგორც თქვენ უკვე სწორად აღნიშნეთ თქვენს გამოსვლაში, სოკ-ი აღიარებს საქართველოს ეოკ-ს და მის იურისდიქციას საქართველოს მთელ ტერიტორია.

მოუთმენლად ველით თქვენს დელეგაციას სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე.

# სუპერლიგის მწვრთნელი მომავალ სეზონს აფასებენ

სუპერლიგა 2013-14 წლების სეზონი გასულ შაბათს დაიწყო. ჯერ მხოლოდ პირველი ტური ჩატარდა, თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ მაყურებელს ძალიან საინტერესო ჩემპიონატი ელოდება. ამ აზრს იზიარებს სუპერლიგის მონაწილე გუნდების მწვრთნელთა უმეტესობა, რომელთა კომენტარებიც სუპერლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



**ვაჟა კვარაცხელია, „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ვფიქრობ, ეს ჩემპიონატი წინაზე უკეთესი იქნება. ამის თქმის საშუალებას გუნდების ძალთა თანაფარდობა მაძლევს. გასულ სეზონში 2 გამოკვეთილი ლიდერი იყო – „შსს-აკადემია და „ოლიმპი“, ამ ჩემპიონატში კი ყველა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარია. „მაკაბიც“ კი არაა ხელწამოსაკრავი. პირველ ტურში „შსს-აკადემიას“ კინაღამ მოუგო.

პირველ ტურში „სოხუმმა“ ძალიან ცუდად ითამაშა. გუნდის წევრები ეიფორიაში იყვნენ ცოტა ხნის წინ მოგებული დუდუ დადიანის ტურნირის გამო. ასე ცუდად „სოხუმს“, არ მახსოვს, რომ ეთამაშოს. მომავალ ტურში საკმაოდ ძლიერ „დინამოს“ ვხვდებით და ვეცდებით გამარჯვების მოპოვებას.

**დავით თორთლაძე, „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემპიონატი ჩვეულებრივად დაიწყო. მოლოდინი დიდი იყო და იმედი, თუმცა გულდასაწყვეტი ფაქტია, რომ რეგულარულ ჩემპიონატში გუნდებმა მხოლოდ 16 მატჩი უნდა ჩაატარონ. „ოლიმპს“ საპრიზო ადგილის დაკავების პრეტენზია არ აქვს, ჩვენ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ და იმედი გვაქვს, სეზონის მანძილზე თამაშს დავხვეწავთ და ჩვენს გულშემატკივარს გამარჯვებებით გავახარებთ.

ჩემპიონატის დაწყებამდე ლაშა ფარღალავა გამოგვაკლდა, რომელსაც ირანში თამაშის შანსი გამოუჩნდა და ჩვენც ხელი შევუწყვეთ, რადგან საზღვარგარეთ წასვლა მის განვითარებას ხელს შეუწყობს. აქვე აღვნიშნავ, რომ რიჩარდ მათიაშვილის 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია, როცა რეგულარულ ჩემპიონატში 16 მატჩია ჩასატარებელი, უსამართლო გადაწყვეტილებაა. რაც შეეხება პირველ ტურში „ბათუმთან“ წაგებას, ეს მეტოქის ინდივიდუალური თამაშის გამო მოხდა. ბათუმელებმა 3 ამერიკელი მოთამაშის შედეგიანი თამაშის წყალობით მოგვიგეს. სასიხარულოა, რომ „ბათუმმა“ მოახერხა ძლიერი კალათბურთელების შეკრება და ჩემპიონატში ამბიციები გაუჩნდა.

**მალხაზ კოხრეიძე, „ქუთაისის“ მთავარი მწვრთნელი:**

– გასულ სეზონთან შედარებით უფრო საინტერესო ჩემპიონატი იქნება, თუმცა გუნდების ეს გუნდების შემცირების ხარჯზე მოხდა და ამას არ მივესალმები. როცა გუნდები აკლდება ჩემპიონატს, ეს არც ერთი მწვრთნელისა და მოთამაშისთვის არ არის კარგი ანუ მე ვიტყოდი, რომ ამ ჩემპიონატს 2 მხარე აქვს – დადებითიც და უარყოფითიც.

„ქუთაისმა“ პირველი ტურის მატჩი კარგად ითამაშა. ყველამ ნახეთ, რომ გუნდმა შეთამაშებული და დალაგებული კალათბურთი აჩვენა. პირადად მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ გუნდურ თამაშს და ვცდილობ, ამ მხრივ ყოველთვის კარგად ვიყოთ მომზადებულები. თუმცა ისიც სათქმელია, რომ გუნდური თამაში ინდივიდუალური ოსტატობიდან იწყება. „ქუთაისს“ პრობლემა აქვს ცენტრის პოზიციაზე და თუ მოვახერხებთ ამის გამოსწორებას, შედეგებს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ.

**მიხეილ კობეშავიძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვეულებრივი, კარგი ჩემპიონატი იქნება. არ არიან გამოკვეთილად ძლიერი გუნდები და საინტერესო ბრძოლას უნდა ველოდოთ. კარგი იქნებოდა, 10 გუნდი ყოფილიყო, თამაშების რაოდენობაც მეტი იქნებოდა, თუმცა რას ვიზავთ. დონით ეს ჩემპიონატი არ იქნება ისეთი, 2 წლის წინ რომ იყო, როცა „არმიას“ სანდიეტა გეინსი და ჯერემი რიჩარდსონი ჰყავდა, თუმცა ინტერესი ნამდვილად არ აკლდება.

ჩვენს გუნდს მომატების პოტენციალი გააჩნია. პირველ ტურში ყველა თავის გამოჩენას ცდილობდა, ამერიკელი გამთამაშებელი კი 1 კვირის ჩამოსულია და ჯერ ვერ არის გუნდთან ადაპტირებული. დაცვა და დისციპლინა შეტევაში, ამ კომპონენტებზე გვაქვს სამუშაო და ვფიქრობ მნიშვნელოვნად მოვუმატებთ.

**კოტე ტულუში, „არმიას“ მთავარი მწვრთნელი:**

– დაძაბულობით ეს ჩემპიონატი წინას არ ჩამოუვარდება, მაგრამ მოთამაშეთა კლასით და ხარისხით წინამორბედის მსგავსი არ იქნება. ამ ჩემპიონატსაც არ აკლია ლეგიონერები, თუმცა შედარებით მეტი გაქანება ეძლევა ახალგაზრდებს, რაც კარგია.

პირველმა ტურმა გამოაჩინა, რომ დაძაბული თამაშები იქნება. ამ ჩემპიონატში თითოეულ ტურში 1 ცენტრალური მატჩი არ იქნება. ყოველ ტურში მინიმუმ 2 თანაბარი და დაძაბული მატჩი გაიმართება. „არმიას“, წინა წლებთან შედარებით, ყველაზე სუსტი შემადგენლობა ჰყავს, თუმცა ამბიციები იგივე რჩება. ვეცდებით, დაკარგული ტიტულები დავიბრუნოთ.

**რამაზ გოგობერიშვილი, „რუსთავის“ მწვრთნელი:**

– ამ სეზონში უფრო მეტი თანაბარი გუნდია, ვიდრე წინამორბედში იყო და ეს ძალიან კარგია. სამწუხაროა, რომ ჩვენი გუნდი დასუსტდა და ვერ ჩაებმება ჩემპიონატის ლიდერთა დავაში. იმედია, შემადგენლობას გავაძლიერებთ, თუმცა ჯერ ამის პერსპექტივა არ ჩანს.

**ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაქაბის“ მთავარი მწვრთნელი:**

– კარგ ჩემპიონატს უნდა ველოდოთ. მართალია, ლეგიონერთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა მაინც რჩებიან უცხოელი მოთამაშეები, რომლებიც ადგილობრივებთან ერთად ჩემპიონატს მნიშვნელოვან ხიბლს შემატებენ.

პირველ ტურში 3 შეხვედრაში მეტოქემ შედარებით იოლად იმარჯვა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ 3 დამარცხებული გუნდი მომავალ ტურშიც ასე იოლად დათმობს რამეს. „სოხუმმა“, რომელსაც ძლიერი გუნდი ჰყავს, „ქუთაისთან“ წააგო, რაც ჩავარდნის ბრალია. მომავალში გაცილებით საინტერესო მატჩები იქნება.

„მაქაბისა“ და „შსს-აკადემიას“ მატჩი იყო ერთ-ერთი დასტური იმისა, რომ მართლაც საინტერესო ჩემპიონატი გველის. მართალია, შსს შედარებით შესუსტდა, თუმცა მაინც ძლიერი გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები ლიდერები თამაშობენ. ასევე დავით უგრეხელიძე, რომელიც დიდი გამოცდილების მოთამაშეა და „შსს-აკადემიას“ ძალიან დაეხმარება. ამ გუნდს „მაქაბი“ ბოლო წუთებამდე ღირსეულად ებრძოლა. არადა, ჩემი გუნდის ხუთეულის საშუალო ასაკი 19 წელია. ბოლო წუთებზე ძალიან მნიშვნელოვანი ბურთები ჩააგდო მაიზერ რევაზაშვილმა, რომელიც მხოლოდ 16 წლისაა და უკვე 208 სანტიმეტრია.

**ირაკლი ხოშტარია, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:**

– პირველი ტურით ძნელია შეფასება, თუმცა მაინც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ კარგი ჩემპიონატი იქნება. მე უფრო მეტი ოპტიმიზმით ვუყურებ მომავალ სეზონს, ვიდრე პესიმიზმით და ვფიქრობ, წარმატებით გაგრძელდება ის წინსვლის პროცესი, რასაც ბოლო წლებში ჩაეყარა საფუძველი. ცუდია, რომ სუპერლიგას 3 გუნდი გამოაკლდა, მაგრამ ეს რეალობაა და ახლა იმაზე მუშაობაა საჭირო, რომ ჩამოყალიბდეს ალტერნატიული ლიგა, რათა ის მართლაც კარგი ბიჭები არ დაიკარგონ, რომლებიც დღესდღეობით უგუნდოდ არიან დარჩენილნი.

ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერი გუნდები არიან თავმოყრილნი – „სოხუმი“, „არმია“, „ქუთაისი“, ძალიან საინტერესო გუნდია „ბათუმი“. შაბათს „სოხუმს“ ვეთამაშებით, რომელმაც პირველ ტურში თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 20 პროცენტი გამოავლინა „ქუთაისთან“ წაგებულ შეხვედრაში. ვფიქრობ, „დინამოს“ გასულ სეზონთან შედარებით უკეთესი გუნდი ჰყავს, რომელიც ჯერ ბოლომდე შეთამაშებული არ არის და ჩემპიონატის მსვლელობისას პროგრესს განიცდის. ვფიქრობ, სუპერლიგის მეორე წრე და დასკვნითი ეტაპი უფრო საინტერესო იქნება, რადგან დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ გუნდები ჩემპიონატის მსვლელობისას კიდევ უფრო ძლიერდებიან.

**არჩილ ჟღენტი, „შსს-აკადემიას“ მწვრთნელი:**

– ვფიქრობ, შესაძლოა, ეს ჩემპიონატი უფრო დაძაბული იყოს, ვიდრე წინა. გასულ სეზონში ჩვენს გუნდს და „ოლიმპს“ ჰქონდა ჩემპიონობის გამოკვეთილი ამბიცია, ახლა კი ვერ იტყვი, თუ რომელი გუნდია ფავორიტი. „დინამო“, „სოხუმი“, „ბათუმი“, „ქუთაისი“, „არმია“... ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი თანაბარი და ძლიერი გუნდია, რაც დაძაბულობას გააძლიერებს.

ჩვენ შედარებით ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ამ ეტაპზე ასეა და თუ მოხერხდა ლეგიონერებით შევსება, ეს ჩემპიონატს ძალიან გააძლიერებს. პირველ ტურში „მაქაბისთან“ გაგვიჭირდა, რაც ძირითადად ჩვენი გუნდის გაახალგაზრდავების გამო მოხდა. მომავალ ტურში ვისვენებთ, შემდეგ კი „არმიას“ ვხვდებით, რომელთან თამაშიც ჩვენი გუნდის წევრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-ფულემი ........................ 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 18-9 | 19 |
| 2.ჩელსი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-5 | 17 |
| 3.ლივერპული | 8 | 5 | 2 | 1 | 13-7 | 17 |
| 4.სიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 20-9 | 16 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 8-5 | 16 |
| 6.საუთჰემპტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-3 | 15 |
| 7.ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-10 | 15 |
| 8.მანჩესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-10 | 11 |
| 9.ჰალი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-9 | 11 |
| 10.ნიუკასლი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-14 | 11 |
| 11.სუონსი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-6 | 10 |
| 13.ასტონ ვილა | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 10 |
| 14.ფულემი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-10 | 10 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| 16.სტოკი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-7 | 8 |
| 17.კარდიფი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 18.ნორვიჩი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 19.კრ. პალასი | 8 | 1 | 0 | 7 | 6-17 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-20 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ლევანტე ............................ 0:1
ბილბაო-ვილიარეალი .................. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 28-6 | 25 |
| 2.ატლეტიკო | 9 | 8 | 0 | 1 | 21-7 | 24 |
| 3.რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 19-9 | 22 |
| 4.ვილიარეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-9 | 17 |
| 5.ხეტაფე | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 6.ბილბაო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-13 | 16 |
| 7.ესპანიოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 8.ვალენსია | 9 | 4 | 1 | 4 | 12-13 | 13 |
| 9.ლევანტე | 9 | 3 | 4 | 2 | 9-14 | 13 |
| 10.ელჩე | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| 11.სევილია | 9 | 2 | 4 | 3 | 15-16 | 10 |
| 12.სოსიედადი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 |
| 13.მალაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 11-9 | 9 |
| 14.რაიო | 9 | 3 | 0 | 6 | 7-21 | 9 |
| 15.ბეტისი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-12 | 8 |
| 16.გრანადა | 9 | 2 | 2 | 5 | 5-10 | 8 |
| 17.ვალიადოლიდი | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| 18.ოსასუნა | 9 | 2 | 1 | 6 | 6-13 | 7 |
| 19.სელტა | 9 | 1 | 3 | 5 | 8-13 | 6 |
| 20.ალმერია | 9 | 0 | 3 | 6 | 11-20 | 3 |

## შედეგები

**იტალია. სერია ბ**

სიენა-პალერმო ............................ 2:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კიოლნი-მიუნხენ 1860 .................. 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-მეცი ................................ 0:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-ამკარი .................. 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-რიზე ............................ 0:0
ბურსა-ქაისერი ............................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანიონიოსი ...................... 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-ტეპლიცე ............................ 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-პოგონი .............................. 1:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ოდენსე .................. 1:5

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ნორჩიოპინგი ...................... 1:0
კალმარი-დიურგარდენი .............. 1:2
ჰალმშტადი-მიალბი ...................... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გურამ ოდიშარია ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების მსოფლიო სამიტზეა

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების მსოფლიო სამიტზეა, რომელსაც პოლონეთი მასპინძლობს.

23 ოქტომბერს ვარშავის ოპერის ეროვნულ თეატრში თემით „კულტურისა და განათლების სფეროების შეფასება საქართველოს მაგალითზე“ კულტურის მინისტრი მოხსენებით გამოვა მსოფლიო სამიტის ფარგლებში ვარშავაში დაგეგმილ ვორკშოფზე „მშვიდობის ხმა“, რომელიც მშვიდობის მშენებლობის პროცესში მუსიკისა და განათლების როლს ეხება.



გურამ ოდიშარია განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით დაესწრება „მშვიდობის კონცერტს“. მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტის ელისო ბოლქვაძისა და ახალგაზრდა ლიტველი ნიჭიერი შემსრულებლების სოლო საფორტეპიანო კონცერტს „პიანო ფორ პის“ კულტურის მინისტრი მისასალმებელი სიტყვით გახსნის. მშვიდობის კონცერტს ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემია და შოპენის სახელობის ინსტიტუტი წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთ გალერეაში დაიგეგმა. საქართველოს დელეგაციასთან ერთად სამიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და მრჩეველი ლალი ლომსაძეც დაესწრებიან.

ვარშავის სამიტის მონაწილეთა შორის არიან ფრედერიკ ვილიემ დე კლერკი, მიხაილ სერგეევიჩ გორბაჩოვი, ჰენრი კისინჯერი, დალაი ლამა XIV, მეირიდ კორიგან-მაგუაიერი, ლეჰ ვალესა, მუჰამედ იუნუსი.

ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემია ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების ვარშავის მსოფლიო სამიტზე მიწვეულ იქნა მთავარ პარტნიორად მუსიკის დარგში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სამუსიკო განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტს და კულტურის გზით ემსახურება მსოფლიო მშვიდობას.

ნობელის მშვიდობის ლაურეატების მსოფლიო სამიტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და მშვიდობისმყოფელ სფეროს ემსახურება. სამიტს ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები, მაღალი რანგის ოფიციალური პირები და ორგანიზაციები. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატების მე-13 მსოფლიო სამიტი აღსანიშნავია იმით, რომ იგი პირველად ტარდება აღმოსავლეთ ევროპაში. ვარშავის სამიტი შეეხება მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ საკითხებს, როგორიცაა მმართველობა, კონფლიქტები, სოლიდარობა.

23 ოქტომბერს ვარშავის ოპერის ეროვნულ თეატრში გამართულ ვორკშოპში „მშვიდობის ხმა“ მონაწილეობას მიიღებენ მუსტაფა აბასი (ეურომედის ახალგაზრდობის ფედერაციის გენერალური მდივანი); ჰიბა ალ კავასი (კომპოზიტორი, მომღერალი); ელისო ბოლქვაძე (პიანისტი); მიშელ ჩამპანელა (პიანისტი); ზიგმუნდ მიფსუდი (მალტის ფილარმონიის ორკესტრის ხელმძღვანელი); გურამ ოდიშარია (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი); ქსენია სიდოროვა (აკორდეონისტი); მიშელ სონი (ფონდის სოს თალენტს-ის დამფუძნებელი). მოდერატორია ოლივერ ქონდი, (რედაქტორი, ბიბისი მიუზიქ მეგეზინი).

ვორკშოპი ჩატარდება ინტერაქტიული საუბრის ფორმატში, რომელიც შეეხება მუსიკისა და განათლების როლს მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

ვორკშოპის კოორდინატორია პაოლო პეტროსელი, დამფუძნებელი და პრეზიდენტი ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემია მშვიდობისათვის.

ვორკშოპის თემატიკაა კულტურის, განათლების და მუსიკის როლი სამშვიდობო პროექტებში და მშვიდობის მშენებლობის პროცესში – საქართველოს გამოცდილების გაზიარება; კულტურისა და განათლების სფეროების შეფასება საქართველოს მაგალითზე; ომი და მისი გავლენა კულტურის და განათლების სფეროებზე; კულტურის სფეროში მოღვაწე პირის გამოცდილების გაზიარება სამშვიდობო მისიის პროცესში.

ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემია წარმოადგენს სპეციალურ მუსიკალურ პროგრამას ვარშავის სამიტზე, რომელშიც გაერთიანებულია „მშვიდობის კონცერტი“ – ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის მშვიდობის სამუსიკო აკადემიისა და შოპენის სახელობის ინსტიტუტის ერთობლივი კონცერტი. მასში მონაწილეობენ ელისო ბოლქვაძე (ფორტეპიანო), კასპარას მიკუზისი და მილდა დაუნორაიტე (12 წლის) (ფორტეპიანო). კონცერტის განსაკუთრებული სტუმარია გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი და

მიშელ სონი (სოს ტალანტების ფონდის პრეზიდენტი).

საქართველოდან გამგზავრებამდე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრი გურამ ოდიშარია, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრი ეთნიკური არასამთავრობო ორგანიზაციები. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამომავლო სამოქმედო ერთობლივი გეგმა, აგრეთვე კულტურის სამინისტროს მიერ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით დაგეგმილი და მიმდინარე სხვადასხვა აქტივობები. – 2010 წლის 30 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველო სახალხო დამცველს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანიცაა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის შემუშავება და ერთობლივი სამოქმედო გეგმის შესრულება. მემორანდუმის თანახმად ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შეხვედრები სამ თვეში ერთხელ უნდა მოეწყოს, – ითქვა შეხვედრაზე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ტაო-კლარჯეთში ქართველ და თურქ სპეციალისტთა რიგით მეხუთე სამუშაო შეხვედრა დაიგეგმა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, არქიტექტორ-რესტავრატორებთან ერთად, ადგილზე მოინახულებს იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, შეაფასებს ძეგლზე ფიზიკური სამუშაოების წარმოების ხარისხს და ქართული მხარის მიერ დღემდე გაცემული რეკომენდაციების შედეგს.

მერაბ ბოჭოიძე ადგილზე შეხვდება ერზურუმის ვილაიეთის ხელმძღვანელებს და იშხნის მთავარ ტაძარზე ფიზიკური სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებს. ქართველი სპეციალისტები თურქ კოლეგებთან ერთად დაგეგმავენ სარეაბილიტაციო სამუშაოების მომდევნო ეტაპებს. სამუშაო ვიზიტის ანგარიში წარმოდგენილი იქნება თურქეთში ქართველ სპეციალისტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უერთდება ლიტერატურულ კონკურს „წეროს“. როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა განაცხადა, ეს არის საკმაოდ საინტერესო ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

–ლიტერატურული კონკურსი „წერო“ ელექტრონული წიგნები „ლიტ.გე“-ის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერნეტსივრცეში განხორციელდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ამისათვის უნდა დარეგისტრირდნენ ლიტ.გე-ს შესაბამის გვერდზე და 12 ნოემბრამდე გამოაქვეყნონ საკონკურსო ნაწარმოები 5-10 გვერდის ფარგლებში. ტექსტები ქვეყნდება ანონიმურად, ავტორების მითითების გარეშე, – განაცხადა ელექტრონული წიგნები „ლიტ.გე“-ს წარმომადგენელმა ნათია ლურსმანაშვილმა

გინდა წერო? უნდა წერო! – ასეთია ლიტერატურული კონკურსის „წერო“ დევიზი, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. კონკურსის ორგანიზატორია ელექტრონული წიგნების მაღაზია „ლიტ.გე“ და ფარმაცევტული კომპანია ჯიპისი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე კონკურსის 7 კაციანი ჟიური (კონკურსის ჟიური კონკურსის ბოლომდე საიდუმლოდ რჩება, წევრები არიან თანამედროვე მწერლები და ლიტერატურის კრიტიკოსები) შეარჩევს 15 საუკეთესო ნაწარმოებს. მეორე ეტაპზე შერჩეული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე და მკითხველი 2 კვირის განმავლობაში, 12-25 ნოემბრის პერიოდში 5-ბალიანი სისტემით შეაფასებს.

– მკითხველებს საშუალება ექნებათ, კონკურსის გვერდზე ფორუმში ჩაერთონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ნაწარმოებების შესახებ. ყველაზე აქტიური 10 მკითხველი დაჯილდოვდება ელექტრონული მაღაზიის ლიტ.გე-ს 100-ლარიანი ვაუჩერით, – განმარტა ნათია ლურსმანაშვილმა.

გამარჯვებულთა ვინაობა – პირველი, მეორე და მესამე ადგილები, ჟიურის სპეციალური პრიზი, სხვა პრიზები, დაწესებული არა ორგანიზატორთა მიერ გამოცხადდება 28 ნოემბერს დაჯილდოების ცერემონიალზე.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, სხვადასხვა დროს „წეროს“ გამარჯვებულები არიან ვანო ჩხიკვაძე (პროზა), ნათია ნაცვლიშვილი (პოეზია), ბაჩო კვირტია (პროზა), დიანა ანფიმიადი (პოეზია), ირმა ტ ა ვ ე ლ ი ძ ე (პროზა), მარი ბექაური (პროზა).

# ხუან ხესუს როდრიგესი თბილისში იმღერებს

*ეკა ირემაშვილი*

ცნობილი ესპანელი ბარიტონი ხუან ხესუს როდრიგესი თბილისში იმღერებს. 3 ნოემბერს ფონდი „იავნანა“, „ვი-თი-ბი“ ბანკი და იტალიის საელჩო საქართველოში თბილისის საკონცერტო დარბაზში წარმოადგენენ ჯუზეპე ვერდის უკვდავ ოპერა „რიგოლეტოს“.

ჯუზეპე ვერდის 200 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით „იავნანას“ მორიგ საქველმოქმედო კონცერტზე შესრულდება დიდი კომპოზიტორის მიერ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების მოტივებზე შექმნილი ოპერა „რიგოლეტო“. პაატა ბურჭულაძის მოწვევით კონცერტში მონაწილეობისთვის თბილისში ჩამოვა აღიარებული ესპანელი ბარიტონი, რიგოლეტოს პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი ხუან ხესუს როდრიგესი. აგრეთვე, ვალენსიის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და არენა დი ვერონას მოწვეული მთავარი დირიჟორი ომერ მეირ ველბერი. სოლისტები: ხუან ხოსე როდრიგესი, მზია ნიორაძე, რამაზ ჩიკვილაძე, ვანო გალუაშვილი, ოთარ ჯორჯიკია, მარიამ ნაჭყებია, ნუცა ზაქაიძე, გიორგი წამალაშვილი, აჩიკო გოგიტიძე, რაჟდენ აბესაძე, ნათია მელქაძე. საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა, რეჟისორი დავით საყვარელიძე. პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია. ბილეთები თბილისის საკონცერტო დარბაზის სალაროში 21 ოქტომბრიდან უკვე იყიდება.

ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“ სამმოქმედებიანია. მისი ლიბრეტოს ავტორია ფრანჩესკო მარია პიავე. ოპერის პრემიერა ვენეციაში შედგა, თბილისში კი XIX საუკუნის 50-იან წლებში განხორციელდა. „რიგოლეტოს“ მთავარი გმირები არიან ჰერცოგი (ტენორი), რიგოლეტო (ბარიტონი), ჯილდა (სოპრანო), სპარაფუჩილე (ბანი), მადალენა (მეცო-სოპრანო), ჯოვანა (მეცო-სოპრანო), გრაფი მონტერონე (ბანი), მარულო (ბარიტონი), ბორსა (ტენორი), გრაფი ჩეპრანო (ბანი), გრაფინია ჩეპრანო (მეცო-სოპრანო), ოფიცერი (ბანი) და პაჟი (მეცო-სოპრანო). ოპერას საფუძვლად დაედო ვიქტორ ჰიუგოს დრამა „მეფე ერთობა“. ჰიუგოს პიესის პირველივე წარმოდგენამ პოლიტიკური მანიფესტაცია გამოიწვია. ფრანგი მწერლის პიესა მეფის ძალაუფლებას ავტორიტეტს საგრძნობლად ულახავდა და ამიტომ მისი დადგმა აიკრძალა. ჰიუგომ მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მწერალი 1830 წლის რევოლუციის მთავარი მონაპოვრის – სიტყვის თავისუფლების აღდგენას ითხოვდა. სასამართლო პროცესს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა, თუმცა, საბოლოოდ ნაყოფიერი შედეგი არ გამოუღია. პიესა მეორედ მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიდგა საფრანგეთის სცენაზე. ჰიუგოს ნაწარმოებმა ვერდი საოცრად გაიტაცა და მის ნაწარმოებზე ოპერის შექმნას შეუდგა. კომპოზიტორმა თავად გაიზიარა მომავალი ოპერის ფაბულა, ძირითადი დრამატურგიული ხაზები. კომპოზიტორის მითითებით ფრანჩესკო მარია პიავემ ოპერის ლიბრეტო შეადგინა. თავდაპირველად ვერდის სურდა ოპერისთვის „წყევლა“ ეწოდებინა, მაგრამ შემდეგ სათაური თავად შეცვალა. „რიგოლეტო“ ვერდიმ ძალზე სწრაფად, 40 დღეში დაწერა. კომპოზიტორმა თავისებურად გაიზიარა ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრული სახეები, რამაც ჰიუგოში გარკვეული პროტესტიც კი გამოიწვია. ლიბრეტოზე მუშაობა თითქმის დასრულებული იყო, როდესაც ცენზურამ მისი საფუძვლიანი შეცვლა მოითხოვა. პიავე თანახმა იყო, გარკვეულ კომპრომისებამდე წასულიყო და ასეც მოიქცა, მაგრამ ვერდი სხვაგვარად ფიქრობდა. „მე დავრწმუნდი, რომ ამ დამახინჯებულად სახეცვლილ ნაწარმოებში გაქრა ხასიათიც, აზრიც და, საბოლოო ჯამში, მისი ყველაზე დრამატიული მომენტებიც კი აღარ აგაღელვებს“ – ეს სიტყვები მისწერა ვერდიმ თეატრის დირექტორ მარძარის პიავეს ლიბრეტოს ახალ ვარიანტთან დაკავშირებით, რომელშიც ლიბრეტისტს რიგოლეტოს სახე ცენზურის მოთხოვნების სასარგებლოდ გაეზიარებინა და იგი წარმოსადეგი მამაკაცის გმირით შეეცვალა. ამასთან დაკავშირებით ვერდი წერა: „მთავარი გმირი მომღერალი მასხარაა, რატომაც არა?! ვფიქრობ, ამ ხასიათის წარმოჩენა, მისთვის ნიშნეული იუმორით, ფიზიკური უსახობით და ამასთან, სიყვარულისა და ტანჯვის დიადი გრძნობით, ბრწყინვალე იდეაა. სწორედ მთავარი გმირის ამ ინდივიდუალურ თვისებათა ერთობლიობის გამო ავირჩიე ეს სიუჟეტი და მათზე უარის თქმის შემთხვევაში ვეღარ გავაგრძელებ მუსიკის წერას. თუ მეტყვით, რომ ჩემი მუსიკა ამ სახეცვლილ ლიბრეტოსაც მიესადაგება, მე გიპასუხებთ, რომ ასეთი მსჯელობა მე არ მესმის. გულწრფელად ვამბობ, ჩემი მუსიკა, იმის მიუხედავად, კარგია იგი თუ ცუდი, არასოდეს არის შემთხვევითი. ყოველთვის ვცდილობ მისთვის გარკვეული ხასიათის მინიჭებას“.

რადგან ცენზურის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ სრულიად იკარგებოდა ნაწარმოების ძირითადი არსი და იდეა, ვერდიმ ლიბრეტოს ვარიანტზე კატეგორიული უარი განაცხადა, თუმცა, ბევრი რამის შეცვლა ლიბრეტოში მას და პიავეს მაინც მოუხდათ და საბოლოოდ, ფრანცისკ პირველი მანტუას ჰერცოგად, ხოლო ტრიბულე რიგოლეტოდ გადაიქცა. ოპერის წარმატებული პრემიერა 1851 წლის 11 მარტს შედგა ვენეციაში და მალე „რიგოლეტო“ ევროპის თითქმის ყველა ქალაქის საოპერო სცენაზე დაიდგა.

# გამოფენა „ღვინობისთვე“ ყვარელში გაიხსნება

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს ეროვნული არქივისა და „მეღვინეობა ხარებას“ ორგანიზებით 22 ოქტომბერს ყვარელში, „მეღვინეობა ხარებას“ ტურისტულ კომპლექსში „გვირაბი“ ფოტოგამოფენა „ღვინობისთვე“ გაიხსნება.

– ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის ამსახველი ფოტომასალა. მათ შორის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX-XX საუკუნეებში დიმიტრი ერმაკოვისა და კონსტანტინე ზანისის მიერ გადაღებული ფოტოები, ასევე, მასალები „საქინფორმის“ კოლექციიდან; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატების – უძველესი სასმისების – ფოტოები; „მეღვინეობა ხარებაში“ გადაღებული თანამედროვე ფოტომასალა, – განმარტა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა სოფიო ჯობავამ.

მისივე თქმით, გამოფენის პარალელურად წარმოდგენილი იქნება ფოტოალბომი, სადაც თავმოყრილია ექსპოზიციაზე გამოფენილი ყველა ფოტო. აქვე ნაჩვენები იქნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, მეღვინეობის თემაზე შექმნილი, დოკუმენტური ფილმების ფრაგმენტები, რომლებიც გასაული საუკუნის 30-80-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია გადაღებული.

– გამოფენა „ღვინობისთვე“ თბილისში გაგრძელდება. 23-31 ოქტომბერს ექსპოზიცია ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში იქნება წარმოდგენილი და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია, – აღნიშნა სოფიო ჯობავამ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 2. ამერიკული სიგარეტი; 3. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლენილი პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სხეულის რიტმული, მოხდენილი მოძრაობის ხელოვნება; 17. ძალიან პატარა, სპეციალური სარბოლო მანქანა; 19. კურკოვანი ხილი; 21. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად**: 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცისფერი, ძვირფასი ქვა; 13. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი, მერი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. ოთხცხენიანი ანტიკური ორთვალა ეტლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯემი; 2. რვალი; 3. ლიახვი; 5. ურალი; 6. „თავკვერი“; 8. დეიტერიუმი; 10. რიტუალი; 12. ჟურნალი; 14. ტიფოზი; 15. მიკადო; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. ჯოკერი; 4. მუშაითი; 7. სხალთა; 9. ვეზირი; 11. სილეზია; 12. ჟოეკვარა; 13. იუმორი; 17. გეიტსი; 18. დუყი; 19. პლატფორმა; 20. დინამიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნილოსი; 2. აგვისტო; 3. „ბახთიარი“; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. ტაბაწყური; 11. „კრახუნა“; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. ეფენდი; 21. ცურვა.

**თარაზულად:** 5. „ლაშარელა“; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. „საბენა“; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. მაროკო; 22. „მზეჭაბუკი“; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

# ელიტ მოდელ ლუქის გამარჯვებულები ცნობილია

ეკა ირემაშვილი



სამოდელო კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია ენდ არმენია 2013"-ის გამარჯვებულები უკვე ცნობილია. წელს კონკურსის გამარჯვებული გოგონა 14 წლის ბათუმელი ანასტასია იგონინა გახდა. კონკურსში 20 გოგონა და 20 ბიჭი მონაწილეობდა. ბიჭებში პირველი ადგილი რუსთაველმა 19 წლის მიშა ტკაჩენკომ დაიკავა. სომხეთის კონკურსანტთა შორის კი გამარჯვებულად ანა გრიგორიანი დასახელდა.

კონკურსის დასკვნითი საღამო რადიო ფორტუნას წამყვანმა გიგა ბატკუაშვილმა და მის საქართველო 2011-მა ჯანეტ ქერდიყოშვილმა წარმოადგინეს. ჟიურის წევრები კი იყვნენ მარტინა კობესოვა, ელიტ საქართველოს და სომხეთის წარმომადგენელი ია კიწმარიშვილი, „კიკალა სტუდიოს" დამფუძნებელი მამუკა კიკალიშვილი, ჟურნალ „ლუქსურის"-ის წარმომადგენელი ალექს მირზოიანი, „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია" 2007 წლის გამარჯვებული თამარ შედანია, ტელეკომპანია „მიუზიქ ბოქს"-ის პროგრამების დირექტორი ლიზა ვადაჭკორია და კასტინგის რეჟისორი მიშა აფხაზავა.

კონკურსი კომპანია „აისი მოდელ მენეჯემენტ"-ის მიერ საერთაშორისო სამოდელო კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ"-ის შესარჩევი ტური უკვე მეშვიდედ ჩატარდა საქართველოში.

— პროექტი „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია" არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პროფესიული სამოდელო კონკურსის „ელიტე მოდელ ლუქ"-ის შესარჩევი ტური საქართველოში. ამ კონკურსმა აღმოაჩინა მსოფლიოში ისეთი ცნობილი ტოპ-მოდელები, როგორებიც არიან ლინდა ევანგელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჟიზელ ბუნდჰენი, ნაომი კემპბელი, ალესანდრა ამბროსიო და სხვა ცნობილი მოდელები. ეს კონკურსი უკვე მეშვიდედ, წარმატებით ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში კომპანია „აისი მოდელ მენეჯემენტ"-ის მიერ და მიზნად ისახავს გოგონებსა და ვაჟებს შორის ახალი სახეების აღმოჩენას და მათ საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ გოგონებს 14-დან 22 წლამდე, მინიმუმ 170 სმ სიმაღლით და ვაჟებს 16-დან 24 წლამდე მინიმუმ 180 სმ სიმაღლით. კონკურსანტებმა გაიარეს წინა საკონკურსო მოსამზადებელი ეტაპი, ხოლო პორტფოლიოებით ისინი უზრუნველყო „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას" პარტნიორმა კომპანიამ „კიკალა-სტუდიომ", — განაცხადა კონკურსის ხელმძღვანელმა ია კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გახდე მსოფლიო მოვლენის ნაწილი. ელიტის წარმომადგენლები საქართველოში აწარმოებენ ახალი სახეების ძიებას იმისათვის, რომ მისცენ მათ შესაძლებლობა, დაიკავონ საპატიო ადგილი მსოფლიო აღიარებულ ტოპ მოდელთა შორის.

— „ელიტ მოდელ ლუქმა" საქართველოში წინა წლებში აღმოაჩინა თამარ შედანია, ანნა კოვაჩი, მარიტა ჯანაშია, სოფო შერგელაშვილი, ნონიკო კახაძე და ლიკა მეტრეველი, რომლებიც უკვე წარმატებით მოღვაწეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე, — განმარტა ია კიწმარიშვილმა.

წელს 21 ივლისიდან 7 სექტემბრამდე რეგიონალური შესარჩევი კასტინგები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა, მათ შორის ქუთაისში, გორში, გურჯაანში, ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში. რეგიონული ტურების ბოლოს თბილისი მოლში გაიმართა ნაციონალური კასტინგი, რის შედეგადაც შეირჩნენ კონკურსანტები — 15 საუკეთესო დამწყები მოდელი გოგონა და 15 მოდელი ვაჟი, რომლებმაც გააგრძელეს მონაწილეობა ფინალურ შოუში გამარჯვების მოსაპოვებლად. ფინალურ შოუზე კი გამარჯვებულები აირჩია თავად „ელიტ მოდელ ლუქის" წარმომადგენელმა პარიზიდან, რომელიც სპეციალურად ამ მისიით ყოველწლიურად ჩამოდის საქართველოში.

# ნინო ბურჯანაძე: „რის იმედად ამბობს ბიძინა ივანიშვილი, რომ მარგველაშვილი პირველივე ტურში მოიგებს?"



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, წინასაარჩევნო კამპანიის მეორე ტურნეს ფარგლებში, გუშინ ვანის ამომრჩეველს შეხვდა.

როგორც მან შეხვედრაზე აღნიშნა, პრობლემები, ისევე როგორც ყველა სხვა რაიონში, ბევრია, თუმცა ყველაზე მეტად მოსახლეობა სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურებით და უაზრო კოჰაბიტაციითაა შეშფოთებული.

„სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია რის იმედად ამბობს ბიძინა ივანიშვილი, რომ პირველივე ტურში მოიგებს მარგველაშვილი. ასევე ლაპარაკობენ, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, ამას ხომ საერთოდ ახსნა არ აქვს.

ძალიან ვწუხვარ, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ასეთ შეცდომაში შეყავთ, წარმომიდგენია სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც როგორ არასწორ ინფორმაციას აძლევენ მას.

მინდა ყველა გავაფრთხილო, ვინც ახლა ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან აფათურებს ხელებს და აპირებს არჩევნების გაყალბებას, არ გაბედონ ამ ხალხის კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა და მოტყუება. პატიოსან ბრძოლაში თუ დამამარცხებენ, მე მათ მივულოცავ და ვაღიარებ ამ გამარჯვებას, მომიგონ პატიოსნად და ვაჟკაცურად.

ბატონ ბიძინას, როგორც ამბობს, ვაჟკაცურად უცხოვრია ცხოვრებაში, ჰოდა აიძულოს თავის ირგვლივ შემოკრებილები, რომელთაც ნამდვილად ძალიან ბევრი აკლიათ ვაჟკაცობამდე, რომ ღირსეულად იბრძოლონ, — ვგულისხმობ პატიოსან ბრძოლას. აქ არ არის საუბარი თანასწორობაზე, თანასწორობა ამ არჩევნებში ნამდვილად არ იყო რადგან დებატებშიც კი არ დაჯდა მთავარი საპრეზიდენტო კანდიდატი ჩემთან, მაგრამ ახლა მაინც იბრძოლონ პატიოსნად და იბრძოლონ ისე როგორც ეს ნორმალურ პოლიტიკურ საარჩევნო პროცესს ეკადრება" — განაცხადა ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# „მთვრალი ალუბალი" მარჯანიშვილის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე პრემიერაა. 23 ოქტომბერს თეატრალებისთვის წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „მთვრალი ალუბალი". შემოქმედებითი ჯგუფი ბოლო რეპეტიციებს გადის და მაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

ტექსტის ავტორი და რეჟისორი ლევან წულაძე და ალექსანდრე ელოშვილი არიან, მხატვარი ნინო სურგულაძე, სცენოგრაფი ლევან წულაძე, ქორეოგრაფი გია მარღანია, მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი, რეჟისორის თანაშემწე ნინო კალანდაძე.

ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი, ნოდარ დოლონაძე, ზურა ბერიკაშვილი, პაატა ინაური, ნინო გაჩეჩილაძე, ნინო წულაძე და ზაზა სალია.

— მათი შეხვედრის ადგილი კაფე-ბარი მთვრალი ალუბალია. აქ ადამიანებს ტკბილეულით უმასპინძლდებიან. ერთმანეთს თან უსმენენ, თან ეჩხუბებიან, რაღაცის დაკარგვის ეშინიათ და დაუსრულებელ მოლოდინში იმყოფებიან. ეს სპექტაკლი კი არა, ცხოვრებაა. ოღონდ ლამაზად მოთხრობილი ცხოვრება, ადამიანების პრობლემებით და ტრაგედიებით, უფრო ხშირად სულელური და უცნაური, ზოგჯერ შემზარავი, მაგრამ გულწრფელი და ნამდვილი. ისინი ხშირად იბრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლას მიეჩვივნენ. ასეთი შეხვედრა ცხოვრებაში ერთხელაა, ერთხელ და სამუდამოდ. და აი, ისინიც ერთმანეთს შეხვდნენ. ორი მარტოსული. ასე განსხვავებული და ასეთი ერთნაირი, — ამბობენ მარჯანიშვილის თეატრში.

„მთვრალი ალუბლის" პრემიერის პარალელურად, რეჟისორი ლევან წულაძე თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც მუშაობს, სადაც შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" დგამს. სპექტაკლის პრემიერა მომავალი წლის იანვრისთვის არის დაგეგმილი. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელ დიმიტრი ხვთისიაშვილის თქმით, მომავალი წელი შექსპირის საიუბილეო წელია, ამიტომაც თეატრის რეპერტუარში ორი ახალი სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა" და „ზამთრის ზღაპარი" სწორედ ამ იუბილეს ეძღვნება.

# მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზანდუკელის ქუჩაზე გადადის



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დიდ დიღომში მდებარე სახლს ტოვებს, რომელშიც იგი ბოლო წლებში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. სახლი სპეციალურად პრეზიდენტისთვის იყო დაქირავებული.

სოციალურ ქსელში ფოტოები და ვიდეორგოლები გავრცელდა, სადაც ჩანს, როგორ ალაგებენ ყუთებში მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე სანდრა რულოვსი სხვადასხვა ნივთებს და სახლიდან გააქვთ. როგორც გაირკვა, მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად ზანდუკელის ქუჩაზე გადადის.

საქართველოში 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობის მეორე ვადა რამდენიმე დღეში ეწურება. კანონის შესაბამისად, იგი ზედიზედ მესამე ვადით კენჭს ვერ იყრის. მისმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ" პრეზიდენტობის კანდიდატად დავით ბაქრაძე წარადგინა. მთლიანობაში წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში 23 კანდიდატი მონაწილეობს.

**ნიუსპრესი**

# ბიძინა ივანიშვილი: „ალასანია კარგი მინისტრია, მაგრამ იდეალური არავინ არის"

საქართველოს მთავრობას კარგი და ძალიან კარგი მინისტრები ჰყავს — ასე შეაფასა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედზე" გადაცემა „პოლიტიკის დროში" საკუთარი გუნდი. მისი თქმით, იგი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ დაასახელებს ვინ კარგია და ვინ — ძალიან კარგი.



„გამოკვეთილი პრეტენზია არავიზე მაქვს. როცა წავალ ხელისუფლებიდან მაშინ ვიტყვი, ვისზე ვფიქრობდი რომ კარგი იყო ვისზე — ძალიან კარგი. ახლა უხერხულია და არ მინდა მთავრობას ენთუზიაზმი დავუკარგო. კარგები კი, ძალიან კარგში მინდა გადავიყვანო" - აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სისტემაში ყველაზე რთული რეფორმა მიმდინარეობს, მაგრამ ყველაზე ხარისხიანად.

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას პრემიერი აცხადებს, რომ იგი კარგი მინისტრია.

„ირაკლი ალასანიაც კარგი მინისტრია. მას აქვს კარგი პოლიტიკური გამოცდილება და შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსია ჩვენს გუნდში. მასთან ბევრ დროს ვატარებ და ძალიან მინდა, რომ არც არ მომწონს ის მოიხსნას, იდეალური არავინ არ არის. ალასანიას ბევრი კარგი თვისება აქვს. არასაჯაროდ, მაგრამ მაქვს რაღაცეები, რაც არ მომწონს და ასევე კითხვები, მაგრამ ამაზე ვმუშაობთ, ვუწორებ, მხარს ვუჭერ" — განაცხადა პრემიერმა.

**ნიუსპრესი**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მარიეტა აკოფოვა-მარინაშვილის ხსოვნას!

ჩვენო საყვარელო მეგობარო! შენმა უეცარმა წასვლამ ძალიან გვატკინა გული. შენნაირი კეთილი ადამიანი ასეთ ტრაგიკულ ხვედრს არ იმსახურებდა. დაუვიწყარია შენი თავდადება მეგობრებისადმი.

ძალიან, ძალიან გვატკინე გული.

თანაგრძნობას ვუცხადებთ შენს მეუღლესა და შვილებს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს!

*შენი მეგობრები მანანა და ეკა სიხარულიძეები*

რემი, ნინა, ლანა ღვინჯილიები, ლევან გამცემლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი ექიმის, დიდი ოჯახის ბურჯის, ქალბატონი

**ნუნუ გამცემლიძე-მგელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გურამ მგელაძეს, მის მრავალრიცხოვან ოჯახსა და სანათესაოს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 23 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.15 "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ვინეტუ -I**" 17.00 დ/ფ "თანამედროვე იარაღი" 18.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.05 "მეხსიერება" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) 00.40 მხ/ფ "**სუინი თოდი:ფყეული დალაქი ფლით სთრითიდან**" (ჯ.დეპი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 ღამის შოუ (06.10.13 გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) 00.00 მხ/ფ "**შოპაჰოლიკი**" (ჰ.დენსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 სერ. "**ექიმი ჰაუსი**". 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

**ერთსულოვნება** 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ნიამორი 07.05 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" Iნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ "**ქოლგა**" 13.10 დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - საქართველო სახელმწიფო საგუნდო კაპელა 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ალყა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" II ნაწ. 02.00 ნიამორი

**მაესტრო** 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა. 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "რთული გზა"**. 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00 თოქ-შოუ "არგუმენტები".

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6635 | ევრო — 2,2788 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6975 | 100 რუსული რუბლი — 5,2236 |

## ამინდის პროგნოზი 23 ოქტომბრისთვის





# მალე!
## ქართული დეტექტივი
### ტომი 3
### იორამ ჩადუნელი
## საზღაური
### უკვე გამოსულია
ტომი 1 .................... მგლის ბილიკი
ტომი 2 .................... შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ: 09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

ვაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

**კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს — 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!**

**25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია — ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ქვით ნაგები ღობე; 2. მუსლიმან მამაკაცთა თავსაბურველი; 3. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 5. მასობრივი სპორტული სირბილი; 6. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. მოხეტიალე ცირკი; 16. მარადმწვანე, ტროპიკული, ხვიარა მცოცავი მცენარე.

**თარაზულად**: 1. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 9. „ფორმულა-1“-ში მონაწილე პოლონელი ავტომობილი; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. ხევსურული ტანსაცმელი; 13. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. უნივერსიტეტი მადრიდში; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნაერთი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# მარიამ რაფავა: „ჩემი ლექსები უფრო მელანქოლიურია“

ეკა ირემაშვილი



საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ახალგაზრდა პოეტის მარიამ რაფავას შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

როგორც პოეტმა აღნიშნა, მისთვის სრულიად მოულოდნელად მეგობრებმა მისი ლექსების კრებულიც დაბეჭდეს და პოეზიის საღამოც დაგეგმეს. „თბილისი“ — ასე ეწოდება კრებულს, რომელშიც ახალგაზრდა პოეტის 40-მდე ლექსია გაერთიანებული. პოეზიის საღამოს სიონის ტაძრის მღვდელმსახურები დეკანოზი გიორგი სანამაშვილი და დიაკვანი ანდრია ჟუჟიაშვილიც ესწრებოდნენ.

პოეზიის საღამოზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო. ახალგაზრდულ ცენტრში თავი მოიყარეს მარიამის მეგობრებმა, ახლობლებმა, ოჯახის წევრებმა და რიგითმა მსმენელებმა. ახალგაზრდა პოეტმა საკუთარი ლექსები შეკრებილ საზოგადოებას თავად გააცნო.

**მარიამ რაფავა:**

— ეს ჩემი პირველი კრებულია, რომელშიც ჩემი მეგობრების მიერ შეკრებილი ლექსებია გაერთიანებული. ეს იყო ჩემთვის აბსოლუტური მოულოდნელობა და გადმომცეს „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში.

***— ღონისძიებაც მეგობრებმა დაგეგმეს?***

— კი, ეს ღონისძიებაც მეგობრებმა დაგეგმეს და რამდენიმე დღით ადრე შემატყობინეს. ძალიან დიდი ღელვაა, როცა პირველად გეგმავ საღამოს, არ იცი საიდან დაიწყო, რა თქვა, რითი დაიწყო, რითი დაამთავრო, ამ შემთხვევაში, ნამდვილად ასე ჯობდა. მამა ანდრია და მამა გიორგი ჩემი მეგობრები არიან. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სხვა მამაოები და საპატიო სტუმრებიც უნდა დასწრებოდნენ ამ საღამოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ცვლილებები და ზოგიერთი მათგანი ვერ დაესწრო. ცოტა უხერხული სიტუაცია შეიქმნა ამ მხრივ, მაგრამ ესეც მოგვარებადია. ძირითადად ჩემი მეგობრები, ახლობლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

***— დიდი ხანია, ლექსებს წერთ?***

— ლექსებს ვწერ იმ პერიოდიდან, რაც ჩემი თავი მახსოვს. ვწერ ბავშვობიდან, რატომ და რა მიზეზით, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ვწერ. ბავშვური არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის დიდი ბავშვი ვიყავი. ბუნებრივია, სტილი ბევრჯერ შევიცვალე, ახლა რა სტილის ლექსებსაც ვწერ, ეს სტილი ჩამოყალიბდა 2-3 წლის წინ, რაც ჩემმა მეგობრებმა აიტაცეს და მეც მოვირგე.

***— რას გულისხმობთ?***

— თუნდაც ეპისტოლარულ ჟანრს, თუნდაც სასიყვარულო პოეზიას. ჯერ კიდევ ძიების პროცესში ვარ. მიძღვნები იშვიათად, მაგრამ მაინც მაქვს.

***— ჟანრის ცვლილება თქვენს პოეზიაში რამ განაპირობა?***

— იყო ამის კონკრეტული ბიძგი, ყველაფერს რაღაც განაპირობებს, პიროვნული წარმატებები თუ წარუმატებლობები, კარიერული წინსვლა ან კრახი. ნამდვილად განაპირობა ჩემი ჟანრის შეცვლა რაღაც კონკრეტულმა ბიძგმა, მაგრამ ამაზე საუბარი არ მინდა.

***— ვის უკითხავთ პირველად თქვენს ლექსებს?***

— ჩემს ოჯახში ბევრი წერს, მაგრამ გააჩნია, როგორ განწყობაზე ვარ. შეიძლება, უცებ წავუკითხო ყველას ჩემი ლექსი, მაგრამ შეიძლება თვეობით დავმალო. გააჩნია როდის ვარ ლექსის გაჟღერების ხასიათზე, თუმცა პირველად იმ კონკრეტულს არასოდეს ვუკითხავ.

***— დაგიხევიათ ლექსი?***

— კი, მქონია ასეთი შემთხვევა. როცა ცხელ გულზე ვარ, არ მინდა, ჩემი ნააზრევი გამოვიტანო სახალხოდ. რაღაც პერიოდის შემდეგ, როცა ვმშვიდდები, ვავლებ თვალს და ვწყვეტ, ღირს თუ არა მისი ვინმესთვის ჩვენება. თუ კარგია, წავუკითხავ სხვებსაც, თუ არადა, მისი ადგილი სანაგვე ყუთშია. ჩემს ლექსებს დედას ვუკითხავ ხშირად. ჩემი პირველი შემფასებელი ყოველთვის ჩემი და იყო, თავისი ობიექტურობით, კრიტიკულობით, ირონიით, მაგრამ ერთი წელია გერმანიაშია და ისეთ ხშირ ურთიერთობას ველარ ვახერხებთ.

***— გაბრაზებულიც წერთ ლექსებს?***

— არა, ცხელ გულზე ლექსის წერაში არ იგულისხმება მაინცდამაინც უარყოფითი ემოციები. ბუნებაც კი მოქმედებს პოეტის განწყობაზე, ნებისმიერი მოვლენა ჩვენთვის ბიძგია.

***— როგორია თქვენი ლექსები?***

— ჩემი ლექსები უფრო მელანქოლიურია.

***— განიცდით რომელიმე პოეტის გავლენას?***

— კი, განვიცდი იმ პერიოდში, როცა ვკითხულობ. ამოჩემებები მაქვს. ბევრი ქართველი პოეტი მიყვარს, ამიტომ მათ ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ ძირითადად არის რამდენიმე, ვისაც აქტიურად ვკითხულობ. ვერ ვიტყვი, რომ ვინმესგან რამე ამიღია ან აღმომიჩენია, რომ ჩემი ხელწერა მისას ჰგავს.

***— მიბაძვას გაურბიხართ?***

— რასაკვირველია, გავურბივარ, ნამდვილად არ მესიამოვნება, თუკი ვინმეს მიბაძვას დამაბრალებენ.

***— უფრო ფართო მასშტაბით პოეზიის საღამოს არ გეგმავთ?***

— ალბათ ჩავატარებთ საღამოს უფრო მასშტაბურად, მაგრამ უახლოეს მომავალში არა, მე და ჩემი მეგობრები ამჟამად პირველი საღამოს ემოციების ქვეშ ვართ. არ არის გამორიცხული, მომავალში ჩავატარო ჩემი პოეზიის საღამო უფრო მასშტაბურად, მეტი მკითხველისთვის. ყველას დიდ მადლობას ვეუბნები, განსაკუთრებით ნინო სალუქვაძეს, რომელმაც არაფრისგან გააკეთა საოცარი რამ. ზაფხულში ვაჩუქე ჩემი ხელით გადაწერილი ლექსების „ბლოკნოტი“, დანარჩენი ლექსები მოიძია ინტერნეტში და მალულად მეგობრებთან ერთად დააბეჭდვინა მცირე ტირაჟით კრებული, რომელიც ჩემი პოეზიის საღამოზე დარიგდა. მართალია ყველას ვერ შეხვდა და გულდაწყვეტილიც დარჩა ბევრი, მაგრამ ამას მომავალში გამოვასწორებ. მამა ანდრიას და მამა გიორგის განსაკუთრებული მადლობა, მადლობა ყველას, ვინც მოვიდა, მომისმინა, შეაფასა ჩემი შემოქმედება. გულწრფელად ვამბობ, ძალიან დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი ამ საღამოზე. როცა ლექსს კითხულობ, მკითხველს თვალებში უყურებ და შეუძლებელია ვინმე ან რამე გამოგრჩეს, თუკი დარბაზში ათასობით ადამიანი არ იმყოფება. ჩემს შემთხვევაში საოცრად კარგი და თბილი საღამო გამოვიდა და ყველას მადლობას ვეუბნები ასეთი მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის.

# „სტუდენტური სახე 2013“ სოფო სულაძეა

ეკა ირემაშვილი



„სტუდენტური სახე 2013“ დასრულდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ ერთობლივი გადაწყვეტილებით საუკეთესო გამოავლინა და ის სოფო სულაძე გახდა. მან საჩუქრად მიიღო დაფინანსება ლონდონში ერთი თვით გასამგზავრებლად.

წელს კონკურსში 25 უმაღლესი სასწავლებლის 25 გოგონა მონაწილეობდა, ისინი ერთმანეთს ათამდე ნომინაციაში ეჯიბრებოდნენ.

დასკვნითი საღამო მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა და წლევანდელმა გამარჯვებულმა გარდამავალი დიადემა დაიდგა თავზე. როგორც ორგანიზატორებმა განმარტეს, კონკურსის გამარჯვებული მთელი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი სტუდენტური სახე იქნება და მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქციებში.

პირველად კონკურსი „სტუდენტური სახე“ 2009 წელს დაბა ურეკში ჩატარდა და მას შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს არის ყოველწლიური პროგრამა და მისი ორგანიზატორია ორგანიზაცია „სტუდენტური სახე“. პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კომპეტენტური ჟიურის დახმარებით სტუდენტ გოგონებს შორის „სტუდენტური სახის“ არჩევა. კონკურსის მონაწილე თითოეულ სტუდენტს მიეცა საშუალება, ნათლად წარმოეჩინა საკუთარი შესაძლებლობები.

# პლეი ოფის მონაწილეები დაწყვილდნენ




15 და 19 ნოემბერს გაირკვევა ის 4 გუნდი, რომლებიც ევროპული ზონიდან მოხვდებიან მსოფლიოს 2014 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ფიფას შტაბბინაში ჩატარებული კენჭისყრის შემდეგ გაირკვა იმ წყვილების ვინაობა, რომლებიც პლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს.

კენჭისყრამდე განთესილები იყვნენ: პორტუგალია (მე-14 ადგილი ფიფას რეიტინგში), საბერძნეთი (15), ხორვატია (18), უკრაინა (20). განუთესავებში მოხვდნენ: საფრანგეთი (21), შვედეთი (25), რუმინეთი (29), ისლანდია (46).

საბოლოოდ გუნდები ასე დაწყვილდნენ: პორტუგალია — შვედეთი; უკრაინა — საფრანგეთი; საბერძნეთი — რუმინეთი; ისლანდია — ხორვატია.

კენჭისყრა ფიფაში შესარჩევ ტურნირზე პასუხისმგებელმა გორდონ სავიჩმა ჩაატარა, რომელსაც შვეიცარიის ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ალექსანდერ ფრაი ეხმარებოდა.

მ. ჟ.

# ასტროპროგნოზი

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
<u>შემოქმედებითი დღეა</u>

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ტყუპები** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ და თავს საუკეთესოდ წარმოადგენთ. **კირჩხიბი** — სიყვარული გწყურიათ და გექნებათ კიდეც. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გექნებათ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ. **სასწორი** — საკუთარ თავზე ფიქრი კარგია, მაგრამ ხანდახან სხვებიც გაიხსენეთ. **ღრიანკალი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება საჩუქარიც გამოგიგზავნონ. **მერწყული** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**